# საერთო გაზეთი

№1 (506) • 23 იანვარი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი


## დიდი ცვლილებების ჟამი



2019 წელი დიდი ცვლილებების წელი იქნება და ამ ერთ წელიწადში იმდენი რამ გაკეთდება, რასაც შეიძლება სხვა დროს 4-5 წელი მოუნდეს.

## ნიკა ბაძაღუა:

(აფხაზი პოეტი)



ხიდის ასაშენებლად ორი ნაპირია საჭირო - ცალ მხარეს ხიდი არ აშენდება!

რატომღაც არ გვინდა, ერთმანეთს გამოვუტყდეთ, რომ ერთმანეთზე უკეთესი არავინ გვყავს

## კობა არაბული: რად სურთ ამ „ჰუმანოიდებს“, რომ არაფერი გვერქვას, არავინ ვიყოთ, ანდა ვიყოთ ვინმე სხვა?

## „ყაზტრანსგაზი“ – ჩვენს სახლებში ჩუმად შემოპარული მკვლელი?









## მიხეილას ახალი ხუინვეიბინი ანუ აფერისტი ტიპი „კაზანტიპიდან“

## * გამოქანება მთაწმინდიდან *



## თინათინ თოფურია:

## ვინ თქვა, რომ „ტამიფლუ“ ლორის გრიპის სამკურნალო წამალია?

# დიდი ცვლილებების ჟამი

**2019 წელი დიდი ცვლილებების წელი იქნება და ამ ერთ წელიწადში იმდენი რამ გაკეთდება, რასაც შეიძლება სხვა დროს 4-5 წელი მოუნდეს.**

**ბიძინა ივანიშვილის სტილია ეს – მას უყვარს ბოლო მომენტში მთელი ძალების, მთელი ენერგიის მობილიზება და ერთი შეხედვით კრიზისული სიტუაციის თავის სასარგებლოდ შემოტრიალება.**

**ასე მოხდება ეს 2019 წელსაც...**



2019 წელი დაიწყო თუ არა, მავანნი და მავანნი ისეთ აპოკალიფსურ სურათს ხატავენ, თითქოს ქვეყნის დასასრული ახლოვდება და ბიძინა ივანიშვილი მის მიერ აშენებულ ქვეყანას, რომლის გადარჩენისთვის მილიარდები აქვს გაღებული, ახლა მისდგომია და თვითონვე ანგრევს.

ამ საყოველთაო განგაშსა და მოთქმა-ვაებაში აქტიურად არიან ჩართულნი პოლიტიკოსები ოპოზიციური სპექტრიდან, არასამთავრობო ორგანიზაციები, რაღაც უხილავი ძალებისგან მართული მედია — როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული, გაურკვეველი წარმოშობის სექტისმაგვარი ჯგუფები სოციალური ქსელებიდან და ა. შ. და ა. შ.

მოკლე რომ მოვჭრათ, ქვეყანაში დიდი განგაშია გამოცხადებული.

გასაკვირი ის არის, რომ ამ ხელოვნურად აგორებული განგაშის ფონზე არავინ ჩანს ისეთი, რომელიც დასაბუთებულად და არგუმენტირებულად შეეცდება დაამტკიცოს, რომ ეს ცრუ განგაშია და სინამდვილეში სულ სხვა რამ ხდება და სულ სხვა პროცესები იწყება, პროცესები, რომლებიც არსებული მდგომარეობის გაჯანსაღებისკენ და გამოსწორებისკენ არის მიმართული.

საქმე ის არის, რომ ბიძინა ივანიშვილი პირობას ასრულებს და იმ დაპირებების შესრულებას იწყებს, რომლებიც მან 2018 წლის 5 ნოემბერს თავის ცნობილ მიმართვაში გააჟღერა.

გთავაზობთ ფრაგმენტს ამ მიმართვიდან:

„მიუხედავად წარმატებებისა, ქვეყანაში მთავარ გამოწვევად რჩება არსებული სიდუხჭირე. შესაბამისად, ჩვენ გვჭირდება გადამწყვეტი ცვლილებები, პირველ რიგში, სოციალურად ყველაზე მგრძნობიარე ჯგუფებისთვის. ბევრი პოპულისტისგან განსხვავებით, ბუნებრივია, არ ვისაუბრებ კონკრეტულ ციფრებზე, მაგრამ აუცილებლად ვიტყვი, რომ პენსიონერებისა და დევნილების შემწეობები და დახმარებები რადიკალურად უნდა გადაიხედოს! მათზე ზრუნვა ჩვენი ღირსების საქმეა და ჩვენ ეს უნდა შევძლოთ!

სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს საკადრო პოლიტიკა, რომელიც დაეფუძნება გამოცდილ ადამიანებს და მუდმივად მოიზიდავს ახალ კადრებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს. ახალგაზრდები უნდა ჩაერთონ ქვეყნის მართვისა და პოლიტიკის შემუშავებაში!

...მინდა შეგახსენოთ, რაც არჩევნებამდე განვაცხადე — **მე ვილებ პასუხისმგებლობას, რომ ერთ წელიწადში გავასწორო მართვის ყველა ხარვეზი და მთელი ჩემი რესურსი გამოვიყენო, რომ ქვეყნის განვითარება შეუქცევადი გახდეს**“.

ბიძინა ივანიშვილი სიტყვის კაცი გამოდგა და 2019 წლის პირველი დღეებიდანვე უაღრესად სერიოზული და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა მართვის ხარვეზების თუ სხვა პრობლემების აღმოსაფხვრელად.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პესიმისტურად უყურებს დროის მცირე მონაკვეთში გრანდიოზული რეფორმების განხორციელების რეალობას, თუ აღებული ტემპი შენარჩუნდება, დარწმუნებული ვართ, ერთ წელიწადში მართლაც მოხერხდება ამ მიმართვაში გაცხადებული დაპირებების შესრულება.

მხოლოდ სამი კვირა გავიდა 2019 წლის დაწყებიდან და უკვე დაიწყო სერიოზული საკადრო ცვლილებები სუს-ში, რაც, როგორც ჩანს, მხოლოდ საკადრო ცვლილებებით არ შემოიფარგლება და ამ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო სტრუქტურაში სერიოზული რეფორმების გატარება გაგრძელდება.

მიმდინარე წლის დასაწყისიდანვე გაგრძელდა და ახალ ფაზაში შევიდა გასულ წელს საბანკო სექტორში განხორციელებული რადიკალური ხასიათის რეგულაციები, რის გაკეთებასაც ადვილად გასაგები მიზეზების გამო, ხელისუფლების მხრიდან, დიდი რისკი და გამბედაობა სჭირდებოდა.

საბანკო სექტორში წესრიგის დამყარების და ამ სფეროს კანონის ჩარჩოებში მოქცევის სეერიოზულ განაცხადად უნდა მივიჩნიოთ თიბი-სი ბანკის წინააღმდეგ დაწყებული პროცესები.

საქართველოს მოსახლეობა დიდი ხანის სრულიად სამართლიანად ითხოვს ქართული სახელმწიფოსგან, დიაცვას იგი ათეული წლების განმავლობაში საბანკო სექტორში გამეფებული განუკითხაობისა და თვითნებობისგან, რომლის გამოც უამრავ ადამიანს განუზომლად დიდი ტრაგედიები დაატყდა თავს.

მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც დღეს ბანკებისგან დაზარალებული მოსახლეობის ქომაგად ასაღებს თავს, 2007 წელს სრული კარტ-ბლანში მისცა კომერციულ ბანკებს და თითქმის ყოველგვარი შეზღუდვები მოუხსნა.

ის, რაც „ნაცმოძრაობის“ დროს მოხდა, ძალიან ჰგავს საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ კარგად დაგეგმილ და კარგად ორგანიზებულ გენოციდს, რომლის სქემაც საკმაოდ მარტივად გამოიყურება — ჯანდაცვის სფეროში აბსოლუტურად დაუცველი და სახელმწიფოსგან უპატრონოდ მიტოვებული ადამიანები საკუთარი თავის თუ თავიანთი ახლობლების სიცოცხლის გადასარჩენად იძულებულნი ხდებოდნენ, კომერციული ბანკებისთვის მიემართათ და კაბალური პირობებით გამოეტანათ სესხები, რომლებიც ავტომატურად მიემართებოდა გაძლიერებულ მადაზე მოსული საავადმყოფოებისა და კლინიკების სალაროებში, „ხალხზე მზრუნველი“ და „ხალხის მოყვარული“ ხელისუფლება კი მშვიდად და აუმღვრევლად უყურებდა ამ შემზარავ და გულისმომკვლელ „სანახაობას“.

კომერციული ბანკები, ფაქტობრივად, „ნაცმოძრაობის“ უბოროტესი რეჟიმის საიმედო და უერთგულესი პარტნიორები იყვნენ.

**მოვა დრო და ვინმე აუცილებლად დაწერს „ნაცმოძრაობის“ და მისი პარტნიორი ბანკების დანაშაულებრივი საქმეების მწუხარე მატიანეს, სადაც ციფრების, სტატისტიკური მონაცემების, დოკუმენტური მასალების საფუძველზე დეტალურად აღინუსხება, რამდენი მილიონი თუ რამდენი მილიარდი აალიტეს ისედაც მრავალგზის გატყავებულ მოსახლეობას.**

ისეთი კოლოსალური ციფრები იქნება ეს, გაოცდებით და შეძრწუნდებით ამ ბოროტმოქმედების გრანდიოზული მასშტაბებით.

სიღარიბე, ეკონომიკური სიდუხჭირე, ჭარბვალიანობა, სამუშაო ადგილების სიმცირე — ყველაფერი ეს „ნაცმოძრაობის“ დროიდან მოჰყვება საქართველოს უმძიმეს ტვირთად და ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევას დიდი დრო და დიდი ძალისხმევა სჭირდება.

**„ქართული ოცნების“ მიერ შემოღებულმა საყოველთაო დაზღვევის პროგრამამ ჩაჭრა სიკვდილ-სიცოცხლის ის ჯაჭვი, რომლითაც ადამიანები კომერციულ ბანკებთან იყვნენ მიბმული, ამას მოჰყვა ახალი რეგულაციები საბანკო სექტორში, ყოველივე ეს კი იმით დაგვირგვინდა, რომ საქართველოს 600 000 მოქალაქეს საბანკო დავალიანებები გაუნულდათ.**

ცოტაა ყოველივე ეს?

არა, ნამდვილად არ არის ცოტა, თუ სინდისი გაქვს, თუ სიკეთის დანახვის სურვილი გაქვს, აუცილებლად დაინახავ, თუ რა უდიდესი საქმე გაკეთდა საქართველოს ყველა მოქალაქის საკეთილდღეოდ.

სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ათასობით და ათიათასობით სიცოცხლე რომ გადაარჩინა „ქართული ოცნების„ ხელისუფლებამ, თუნდაც საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ამოქმედებით, ესეც ცოტაა? ესეც არაფერს ნიშნავს?

პირდაპირ ვთქვათ: ყველა აქ ჩამოთვლილ სასიკეთო საქმეში და იმ სასიკეთო საქმეებშიც, რომლებიც აქ არ გვიხსენებია, ბიძინა ივანიშვილს უდიდესი წვლილი მიუძღვის!

მათ საყურადღებოდ ვამბობ, ვისაც ბიძინა ივანიშვილის საქართველოში ყოფნის და მისი მოღვაწეობის მნიშვნელობა ამ ქვეყნისთვის ჯერ კიდევ კარგად ვერ გაუცნობიერებია და ვერ შეუფასებია.

**ბიძინა ივანიშვილი უნდა იყო**, რომ საერთაშორისო მასშტაბის ისეთი უძლავრესი მაფია დაამარცხო, როგორიც „ნაცმოძრაობა“ იყო.

**ბიძინა ივანიშვილი უნდა იყო**, რომ ამ ცხრათავიანი ურჩხულის ერთ-ერთ მთავარ თავს მამუკა ხაზარაძეს და სხვა ხაზარაძეებს სილის გაწვნა შეჰბედო და არ შეგეშინდეს.

**ბიძინა ივანიშვილი უნდა იყო** და მისნაირად უნდა გიყვარდეს ადამიანები, რომ ნაციონალებისგან ძირგამორეცხილ სახელმწიფოში მთავარ პრიორიტეტად ადამიანების სიცოცხლის გადარჩენა დაისახო მიზნად და ეს მიზანი კონკრეტულ საქმედ აქციო.

ერთმა ჩემმა მეგობარმა პოეტმა დაწერა: ვიღაც-ვიღაცები ბიძინა ივანიშვილზე აუგს რომ ამბობენ, მათ მაგივრად მე მრცხვენიაო.

**ბიძინა ივანიშვილი: „მე ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ ერთ წელიწადში გავასწორო მართვის ყველა ხარვეზი და მთელი ჩემი რესურსი გამოვიყენო, რომ ქვეყნის განვითარება შეუქცევადი გახდეს“.**

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

**მიზეზთა და მიზეზთა გამო, რომელთა ახსნას აქ არ შევუდგები, საქართველო ყოველდღე ბეწვის ხიდზე გადის. ბეწვის ხიდზე გადის ბიძინა ივანიშვილიც, ვიღაც-ვიღაცები კი, იმის ნაცვლად, რომ გაამხნევონ, ყიჟინას სცემენ ველურებივით – იქნებ დაიბნეს, იქნებ წონასწორობა დაკარგოს და ფეხი დაუცდეს... ბიძინა ივანიშვილს რომ ფეხი დაუცდეს, მერე თქვენ რა ხეირი ამით, თქვე საბრალოებო, საკუთარ თავს და საკუთარ ქვეყანას მტრად რომ მოკიდებიხართ და საკუთარ სამარეს საკუთარი ხელით რომ ითხრით?**

მეც ასე ვარ — მეც მრცხვენია, როცა ავყიები და ფარისევლები, პროფესიონალი ცილისმწამებლები და პროვოკატორები, უტიფარი, ურცხვი, უზნეო ადამიანები ბიძინა ივანიშვილს ლანძღავენ და სრულიად დაუმსახურებლად ლაფსა და ტალახს ესვრიან.

მრცხვენია, რომ ქართველი საზოგადოება ამ უმსგავსობას ითმენს და სათანადოდ ვერ იცავს იმ ადამიანს, რომელმაც ჩვენს გამო სასწორზე შეაგდო თავისი სიცოცხლე, თავისი ოჯახის უსაფრთხოება.

იმისიც მრცხვენია, რომ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობ, სადაც 800 000 მოქალაქეს შეუძლია ხმა მისცეს თავის ჯალათებს, მისი ღირსების შეურაცხმყოფელებს და ფეხქვეშ გამთელავებს და ეს გააკეთოს ისე, რომ არც შერცხვეს.

**მიზეზთა და მიზეზთა გამო, რომელთა ახსნას აქ არ შევუდგები, საქართველო ყოველდღე ბეწვის ხიდზე გადის.**

**ბეწვის ხიდზე გადის ბიძინა ივანიშვილიც, ვიღაც-ვიღაცები კი, იმის ნაცვლად, რომ გაამხნევონ, ყიჟინას სცემენ ველურებივით — იქნებ დაიბნეს, იქნებ წონასწორობა დაკარგოს და ფეხი დაუცდეს...**

**ბიძინა ივანიშვილს რომ ფეხი დაუცდეს, მერე თქვენ რა ხეირი ამით, თქვე საბრალოებო, საკუთარ თავს და საკუთარ ქვეყანას მტრად რომ მოკიდებიხართ და საკუთარ სამარეს საკუთარი ხელით რომ ითხრით?**

როგორც გითხარით, რაღაც უცნაური ტენდენცია მკვიდრდება ამ ქვეყანაში — იმ უამრავ კარგ საქმეებზე, რომლებიც ბიძინა ივანიშვილს აქვს გაკეთებული, არავინ არ ლაპარაკობს — არც ივანიშვილის მტრები და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც მოყვრები.

მტრები, გასაგებია, რატომაც დუმან, მაგრამ ამ მოყვრებს მაინც რატომ ჩაუქინდრავთ თავი მორცხვად, აი, ეს კი ნამდვილად მაკვირვებს.

ასეა თუ ისეა, ამ უმადურობით, ბოღმით და შურით გატენილ ქვეყანაში ივანიშვილს სიკეთე აქტივში არ ეთვლება, სამაგიეროდ, ყველა პრობლემა, დიდიც და პატარაც, მას ბრალდება.

ასე მოხდა ახლაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების სიასთან დაკავშირებითაც.

მავანნი და მავანნი საქმეს ისე წარმოაჩენენ, თითქოს ეს სია ბიძინა ივანიშვილს ჰქონდეს საკუთარი ხელით ჩამოწიკწიკებული და რომ არა სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე მდგარი პერსონების სიფხიზლე და შეუპოვრობა, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობა ახალი წლის წინა დღეებში ამ სიის გაპარებას აპირებდა.

ამ ვერსიას აწვება „ნაცმოძრაობის“ დედალ-მამალი ბუზბული გვარამია და კვესიტაძე, „ზაჟიგანიაგაფუჭებულ“ მანქანასავით ათუხთუხებული უგულავა, რომელიც საუბრის დროს თავგამოდებული ცდილობს, როგორმე დაიქოქოს და გამალებული იქნევს ხელებს, მაგრამ ფუჭი თუხთუხის მეტი არაფერი გამოსდის.

ამ კამპანიაში აქტიურად არის ჩართული გია ხუხაშვილი, რომელმაც ბოლო ხანებში მოვლენათა პირუთვნელი არბიტრის და მედიატორის როლი მოირგო.



იაფფასიან, მაგრამ სენსაციურ-სკანდალური შეფერილობის მდარე პროდუქციას დახარბებული ჩვენი მედიასაშუალებები ხუხაშვილის სწორედ ამ სტატუსით იწვევენ.

„ეს არის ბიძინა ივანიშვილის არჩევანი. მას მოსწონს ის იუსტიციის საბჭო, რომელიც ყავს და თურმე ამაყობს კიდევაც ამით“, — განაცხადა ხუხაშვილმა.

**სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ათასობით და ათიათასობით სიცოცხლე რომ გადაარჩინა „ქართული ოცნების„ ხელისუფლებამ, თუნდაც საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ამოქმედებით, ესეც ცოტაა? ესეც არაფერს ნიშნავს?**

**კი, მაგრამ, სად და როდის თქვა ბიძინა ივანიშვილმა, ან ეს იუსტიციის საბჭო მომწონს ან მოსამართლეთა იმ სიაზე ვგიჟდები, რომელიც იუსტიციის საბჭომ პარლამენტში წარადგინაო?**

მოვუსმინოთ თავად ბიძინა ივანიშვილს:

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში დღეს 28-დან მხოლოდ 10 მოსამართლეა წარმოდგენილი, რაც ხელს უშლის სასამართლოს ნორმალურ ფუნქციონირებას. აქედან გამომდინარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სურვილს, სწრაფად წარმოედგინათ მოსამართლეობის კანდიდატები, ჰქონდა ობიექტური საფუძველი.

თუმცა, მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ მმართველმა გუნდმა მიიღიო გონივრული გადაწყვეტილება, როდესაც დაიტოვა მეტი დრო მოსამართლეების არჩევის საკითხის განხილვისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მმართველი გუნდის წარმომადგენლების უმრავლესობის პოზიციის შესაბამისად. ჩვენ პატივს ვცემთ განსხვავებულ მოსაზრებებს გუნდში და მიგვაჩნია, რომ გონივრული გადაწყვეტილებების მიღება მხოლოდ თავისუფალი დისკუსიის საფუძველზეა შესაძლებელი. მისასალმებელია, რომ მმართველი გუნდის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა იუსტიციის საბჭოს განცხადება იმის თაობაზე, რომ ისინი, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოსამართლეების არჩევის საკითხის საგაზაფხულო სესიაზე გადადებას გაგებით მოეკიდებოდნენ. **როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, გადაწყვეტილება საკითხის განხილვის თაობაზე პარლამენტის თავმჯდომარემ 26 დეკემბერს გამოაცხადა. ამ ფონზე გაუგებარი იყო ეკა ბესელიას განცხადება, როდესაც მან 27 დეკემბერს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობის დატოვება მოსამართლეების არჩევის საკითხს დაუკავშირა“.**

ქალბატონი ეკას მიმართ ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ჩემთვისაც (ისე, როგორც ძალიან ბევრი ადამიანისთვის) დღემდე გაუგებარია, რა აუცილებლობით იყო გამოწვეული მისი მოულოდნელი გადადგომა?

თუ წარმოდგენილი სია არ მოსწონდა, მანამდე ეთქვა ის, რაც 27 დეკემბერს თქვა და გაეგრძელებინა ბრძოლა ამ სიის შესაცვლელად იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის რანგში, განა ასე არ აჯობებდა მისთვისაც და საქმისთვისაც?

ეს სია, როგორც ირკვევა, არა მარტო ქალბატონ ეკას, არამედ კიდევ ბევრს არ მოსწონს.

როგორც ჩანს, არ მოსწონს ის ბიძინა ივანიშვილსაც, მაგრამ მას რა შეეძლო გაეკეთებინა — საჯაროდ ხომ ვერ გამოვიდოდა და ხომ ვერ იტყოდა, ეს სია არ მომწონს და სხვა სია მომიტანეთო?

**მისი ოპონენტები (ზოგჯერ მის მხარდამჭერთა ნაწილიც) ძალიან ცდილობენ, ბიძინა ივანიშვილს ავტორიტარიზმისკენ უბიძგონ და მისგან ახალი საკაშვილი შექმნან, რომელიც ერთპიროვნულად მიიღებს გადაწყვეტილებებს — დაიჭერს, დააპატიმრებს, გაათავისუფლებს, მაგრამ არაფერი გამოსდით ამ მცდელობიდან.**

არანორმაური, არაადეკვატური შეიძლება ვუწოდოთ სიტუაციას, როცა ადამიანს, რომელსაც უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული თავისი სამშობლოსთვის, ნახევარი ქვეყანა ხელ-ფეხზე ჩამოებღაუჭება, რომ იმ გეგმების განხორციელების საშუალება არ მიეცეს, რომლებიც ამავე ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისთვის არის აუცილებელი.

არანორმალური, არაადეკვატური ჰქვია იმ სიტუაციასაც, როცა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ წლების განმავლობაში მიმდინარე მიზანმიმართული, უწყვეტი შავი პიარით, რომელსაც შავბნელი ძალები ახორციელებენ, ლამის არის, მთელი მოსახლეობა დააკომპლექსონ, მუდმივი ფსიქოლოგიური ზეწოლის და ტერორის ქვეშ ამყოფონ და ადამიანებს ტვინებში ჩაუმონტაჟონ, რომ ყველა პრობლემის სათავე ბიძინა ივანიშვილშია.

ამ შავბნელი ძალების უტიფრობა იქამდე მივიდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დროს ასეთი ლოზუნგიც კი წამოაყენეს: ყველა მინუს ერთი.

ამ მინუს ერთში, ცხადია, ივანიშვილს გულისხმობენ...

ამ მკრეხელური ლოზუნგის ავტორებს სათანადო პასუხს გაეცა „საერთო გაზეთის“ (N45, 2018 წ.) ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილიდან, რომლის ფრაგმენტებსაც აქ გთავაზობთ:

**„ყველა — 1 რომ დაუჩემებიათ ამ პოლიტიკურ არამზადებს და პარაზიტებს, აბა, წარმოვიდგინოთ, როგორი და რანაირი იქნება საქართველო, მინუს ყველა ის საქმე, რაც ბიძინა ივანიშვილს გაუკეთებია ამ ქვეყნისთვის?**

**საქართველოს მინუს სამების ტაძარი და ბიძინა ივანიშვილის მიერ რესტავრირებული და აღდგენილი უამრავი ეკლესია-მონასტერი, საქართველოს მინუს ბიძინა ივანიშვილის წყალობით გადარჩენილი თეატრები და მუზეუმები, საქართველოს მინუს მის მიერ აშენებული მუსიკალური ცენტრები, სტადიონები, პარკები, გზები, ხიდები, სკოლები, საავადმყოფოები, სხვადასხვა სახის შენობა-ნაგებობები, საქართველოს მინუს ბიძინა ივანიშვილის მიერ რესტავრირებული უნივერსიტეტის I კორპუსი და ოპერის თეატრი, საქართველოს მინუს ბიძინა ივანიშვილის მიერ გადარჩენილი უამრავი სიცოცხლე, საქართველოს მინუს ბიძინა ივანიშვილის პენსიით თუ სტიპენდიით შიმშილით სიკვდილისგან დახსნილი უამრავი ადამიანი, საქართველოს მინუს ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფინანსებული და აწყობილი უამრავი სახელმწიფო სტრუქტურა, საქართველოს მინუს ჯერ შევარდნაძის და მერე სააკაშვილის მიერ თავიანთ აქტივში ჩათვლილი და მისაკუთრებული, მაგრამ სინამდვილეში ბიძინა ივანიშვილის მიერ უხმაუროდ და ინკოგნიტოდ დაფინანსებული ასევე უამრავი სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტი, იდეა, მიმართულება.**

**დაბოლოს, საქართველოს მინუს 2012 წლის შემოდგომაზე „ნაცმოძრაობის“ კრიმინალურ-ფაშისტურ რეჟიმზე გამარჯვება, რომლის მიღწევა ბიძინა ივანიშვილის თავგანწირვის და თავდადების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.**

**ახლა იმაზე დავფიქრდეთ, ზემოთჩამოთვლილი მინუსების შემდეგ რა რჩება იმ საქართველოსგან, რომელსაც ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებული საქმეები გამოვაკელით?“**

●

2019 წელი დიდი ცვლილებების წელი იქნება და ამ ერთ წელიწადში იმდენი რამ გაკეთდება, რასაც შეიძლება სხვა დროს 4-5 წელი მოუნდეს.

ბიძინა ივანიშვილის სტილია ეს — მას უყვარს ბოლო მომენტში მთელი ძალების, მთელი ენერგიის მობილიზება და ერთი შეხედვით კრიზისული სიტუაციის თავის სასარგებლოდ შემოტრიალება.

ასე მოხდება ეს 2019 წელსაც...

**ვახტანგ ხარჩილავა**



# პრეზიდენტ მიქაელის ზმანებანი

## პოლიტიკური ნოველა



ბალიშიდან ძლივს წამოსწია გოდორივით თავი, რაც საპრეზიდენტო არჩევნები წააგო საქართველოში, რაღაც არაორდინალურ სიმძიმეს გრძნობს ტვინის არეში, თითქოს უამრავი მატლი და ჭიაღუა ფუთფუთებს. არის პერიოდი, როცა სასიამოვნოდ ულიტინებენ, მაგრამ უმრავლეს დღეებში სიგიჟემდე მიჰყავს სიმძიმეს. ადრე, სანამ თავად იყო პრეზიდენტი, მხოლოდ ღიტინს განიცდიდა, ეხლა კი, ეეეჰ, გიამაც გაასხა ბატის ჭუკივით, ვერ მიაწვა ოლიგარქს ბოლომდე, ვერ გაიტანა ლელო მის სასარგებლოდ. არადა, როგორი იმედით იყო აღსავსე, რამდენი ფული დახარჯა. თავისი ნება რომ იყოს, მიაფურთხებდა ყველას და ყველაფერს, გადაიკარგებოდა რომელიმე უკაცრიელ კუნძულზე და იცხოვრებდა რობინზონ კრუზოსავით, თვითონ იქნებოდა მუშაც, გლეხიც, ინტელიგენტიც და პრეზიდენტიც, მაგრამ რა ქნას, რომ არ ასვენებენ? იქით სანდრა ჩასჩიჩინებს, ისევ პირველი ლედობა მინდაო, ათი წელიწადი ცოტა იყოვო, არ მეყოვო... აქეთ ძია თემური უტრაკებს დღენიადაგ, ისევ ძალაუფლება მწყურია, ბოლომდე ვერ გავისწორე, ციხეში ჩასალპობი ჯერ კიდევ ბევრიაო... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორია, ასეთი თავისუფლებისმოყვარე ადამიანისთვის სიდედრის კალთის ქვეშ ყოფნა? ბოლო-ბოლო, კაცია თუ "პროპკა"? რაც ჰოლანდიაში ჩასახლდა იძულებით, სიდედრს ავადმყოფობამ დარია ხელი, მაგრამ მაინც ხშირად გრძნობს მის წყენანარევ მზერას, რომელიც აშკარად ეუბნება: წადი, მიქაელ, დაბრუნდი სამშობლოში, ხილვები მაქვს, ხალხი საშველად გიხმობსო. სიმამრი უფრო თავშეკავებული კაცია, ზის მთელი დღე და ხმას არ იღებს, თითქოს არაფერი აინტერესებს. პერიოდულად მხოლოდ იმას კითხულობს, შვილიშვილს ედუარდი მართლა მის საპატივსაცემოდ დავარქვით თუ შევარდნაძესთან დაახლოების გამო? ჰმ... ძალიან ეჭვიანია ბებერი ჰოლანდიელი, მართალია, ერთ შვილს ედუარდი შევარდნაძის პატივსაცემად დავარქვით, მაგრამ ხომ არ გავუმხელთ? სულ ვარწმუნებთ, რომ მისი სიყვარულის გამო გადაწყვიტა სანდრამ ასე.

მიქაელი საწოლზე წამოჯდა, ფლოსტებში გაუყარა ვეება ფეხები და ისევ ფიქრებში ჩაიძირა. არა, მაინც როგორ გაასხა ბატის ჭუკივით გია ვაშაძემ? ვერ ივარგეს, ვერა... არადა, როგორ ხატავდნენ სიტუაციას, ახალ წლამდე ოლიგარქს გავაქცევთ საქართველოდანო. რას ჰქვია, გააქცევთ-მეთქი? მე ეგ უვნებელი და გაუქცეველი მჭირდება, ფულები უნდა დავაყაჭინო-მეთქი. გოგიტა ვაშაძე მპირდებოდა, გაკოჭილს ჩაგაბარებო... მაჭუტაძე იძახდა, ცხენის კუდზე გამოვაბამ და ისე მოგითრევო... ბაჩუკი ქარდავას გადაწყვეტილი ჰქონდა, სოლოლაკშივე უნდა დაეპატიმრებინა... პაატა დავითაიამ დაიჟინა, თავი უნდა გადავპარსოვო... ყველამ მიღალატა, ნაცარქექიები გამოდგნენ ყველანი, უქნარა მაიმუნები, ტყუილად კი არ მეუბნებოდა ძია თემური, ქართველ ხალს თავზე თუ არ უქენი, ისე არაფერი გამოვაო. არა, ფული ხომ წაიღეს ბლომად? თუ ღმერთმა ქნა, თუ ძალაუფლება დავიბრუნე, პირველ რიგში კეზერაშვილი უნდა წავკუზო, მერე ადეიშვილსაც მივაყოლებ ზედ, ლამის მთელი ქვეყანა ჩავუგდე მაგათ ხელში, მაგ ძონძებს და ეხლა მეუბნებიან, ფული აღარ გვაქვსო. არადა, ეს ბიძაჩემიც მაგრად გაწუწკდა, როდემდე უნდა ვხარჯო მილიონებიო? ბოლო-ბოლო, მივცემ ერთ მილიონს ვინმეს და გავაგორებ ბიძინასო. ეეეჰ, მაგაზე მეც თანახმა ვარ, მაგრამ ქართველების ამბავი რომ ვიცი, მეორე დღესვე გმირად გამოაცხადებენ. ველაპარაკე ამ დამთხვეულ ხალხს, უარი თქვით საბანკო ვალებზე, დამაბრუნეთ, მაგ ფულს წავართმევ და მე გადაგიხდით-მეთქი. არ დამიჯერეს, მაინც აიღეს, გაინულეს ვალები, გაიყიდნენ კიკუებივით. არა, თუ საქართველოში დავბრუნდებოდი, მერე ჩემ ფეხებს გავუნულებდი, მაგრამ ვერ ვხვდები, რატომ აღარ სჯერათ ჩემი? ადრე ყველაფერი სჯეროდათ, რა სისულელეც არ უნდა მეთქვა, ტაშს მიკრავდნენ.

მიქაელი ფიქრებიდან ტელეფონის ზარმა გამოარკვია. ძია რეკავს. ეხლა ესეც დაიწყებს ტვინის ბურღვას, მოაგროვე ემიგრანტები, წადი აშუშუში, მოიარე ყველა შტატი, ნახე შენნაირი გიჟები და დახვიე საქართველოშიო. წადი, მოიარე და დაახვიე კარგია, ამათაც თუ არ უქენი თავზე, შენ გგონია, წამოგყვებიან? მერე ყველას უნდა დაპირდე რაღაცას, თითქმის ყველას თანამდებობა უნდა, მინისტრობა და მოადგილეობა... დავპირდები, განა არ დავპირდები? რატომაც არა, მაგაზე მაგარ რაღაცებს დავპირებივარ და მერე ბევრიც გადამიგდია, მაგრამ მაგასაც დრო და ნერვები უნდა. ხშირად მიკვირს, რა ოვსილა აქვს ამ ბიძაჩემს? რა, მე ხომ ვარ ენერგიული, ეგ ჩემზე მაგრადაა მონდომებული, ერთი წუთითაც არ ისვენებს, სულ გაიძახის, სახში მინდა, სახშიო, ქართველ ხალხს დედა უნდა მოვუტ...ნაო.

- ალო, გისმენ, ძია, რავა ხარ? — მაინც უპასუხა მიქაელმა ბიძას და მოკითხვაც კი დაასწრო.

- რავი, ვარ, რა... რა ქნა დამპალმა გვარამიამ, რას ვაპირებთო? — ამოიხრიალა თემურმა ტელეფონში.

- კი, ვაპირებთო... ამ გაზაფხულზე საქართველოს ახალი ხელისუფლება ეყოლებაო, მაქსიმუმ მაისამდეო.

- აუუუ... ახლა მაისიო, ხო? ვატყობ, ამ მელაძემ ისევ ჩაისვარა, ძველებურად ველარ ქაჩავს, ეგ ჩემისა!

- ეგეთები არიან, სათრევები, ყველას ხელი აქ გამოწვდილი და ფული, ფულიო, იძახიან.

- ნახე, იმ დამპალმა დედაკაცმაც რეები იკადრა?

- ვინ, ელისომ?

- ჰო... გითხარი, ნუ ენდობი-მეთქი!

- სხვა არჩევანი მქონდა?

- არა, ნუ, როგორ დაერჭო სალომეს პრეზენტაციაზე, ნახე? — გამოსცრა კბილებში თემურმა.

- ვნახე და ეგრევე მივხვდი, რომ გაგვყიდა... ბოლოს ველარ გადავუხადეთ და ეხლა ცდილობს, ოლიგარქის ბუნაგში შეძვრეს. თურმე ნიკა გვარამიას ეუბნება, ეს ტაქტიკური მონახაზიაო, მაგრამ აღარ მჯერა მაგათი ტაქტიკისა. თან გამოეთრევა ხოლმე და მაკრიტიკებს, მე აღარაფერს მითანხმებო. ესე იგი, სკაიპში რომ ჩავერთობი, მაგას უნდა შევუთანხმო?!

- ეგრე გააბლატავე და რაღა გიკვირს?

- როგორც დიდმა შოთამ თქვა, ჩვენ სახშიც დადგება გაზაფხული და მერე აქეთ დამიწყებენ ყიყინს, — ჩაიქირქილა მიქაელმა.

- რომელმა შოთამ, მალაშხიამ?

- არა, რუსთაველმა.

- ერთი ეგ არი კიდე გამოქლიავებული!

- ვინ, ძია, რუსთაველი?

- მალაშხიაზე გეუბნები... რა ვიცი, რუსთაველია თუ გორელი?!

- ჰოოო, ეგეც მაგარი დებილია, დაჯდება ხოლმე ტელესტუდიაში და ლაპარაკობს კაი კაცივით!

- მოკლედ, შენ როდის მიდიხარ ნიუიორკში?

- ხვალ გავფრინდები, ემიგრანტები უნდა მოვაგროვო და დავარწმუნო, რო სახში ერთად წავიდეთ.

- ცოტა მკაცრად დაელაპარაკე, კუდს ნუ უქიცინებ, უთხარი, ყველა მილიანრებს გაგხდით, ოლიგარქს წავართმევ და დაგირიგებთ-თქო!

- უკვე ვუთხარი და ამიტომაც მელოდებიან მოუთმენლად.

- აბა, საქართველოში ბოლომდე ჩაისვარეს და სხვა გზა აღარ გვაქვს, ამ გაზაფხულზე უნდა შევესიოთ ოლიგარქის სასახლეებს!

- კაი, წავედი, თავი მისკდება, ცოტა თუ არ გადავკარი, რაღაც ვერ ვარ "ხოდზე".

- ნუ მომჩვარდები ხოლმე, როგორმე უნდა გავარღვიოთ ოლიგარქის მოჯადოებული წრე... თუ არა და ერთი ტყვიას მაგისთვისაც მოიძებნება!

- ჰოოო, კარგი, ნუ იძახი ხოლმე ეგეთ რაღაცებს, ხო იცი, გვისმენენ, — წაიჩურჩულა მიქაელმა და ტელეფონი გათიშა.

არა, ნუ, არა, რააა, არ იქნება ამ კაცის გამოსწორება, ლამის ყვავს აჯობოს ასაკით და მაინც ვერ ისვენებს. პრინციპში, ვერც მე ვისვენებ, მამული მეძახის... მამული, რომელიც განსაცდელშია. კვიცი ბიძაზე ხტისო, სწორედ ჩემზეა ნათქვამი... კვიცი ბიძაზეო? მე მგონი, ცოტა სხვანაირად თქვა დიდმა მაჭუტაძემ კი არა და... დიდმა გალაკტიონმა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს? არა, არა, ემიგრანტები თუ არ ავყარე, საქართველოში ყველა ცუცურაკობაზე დგას, არავინ აღარ არი სანდო. ხან იმ ჭკუაზე ვდგები, ჰალსტუხის ღეჭვა მინდება. ეეეჰ, ვერ დამაფასეს, არ მაფასებენ... არადა, რა კარგად წერს ერთი ემიგრანტი ჩემზე:

"ძვირფასო მინისტრებო, მთავრობის წევრებო, ქოცებო, ვიცი ამის წარმოდგენაც კი ზარავს ივანიშვილს, მაგრამ ერთი წუთით, სულ ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ერთ დღესაც გაიღვიძა, აწია თავისი კორუმპირებული თავი, ჩადო ის ერთი ადგილი სავარძელში, ჩართო ტელევიზორი, გადართო საძულველ რ2-ზე და რას ხედავს: ლაივია, საქართველოს საზღვარს ემიგრანტთა არმია მოადგა — მთელი მსოფლიოდან... საყვირებით, ყვავილებით, დროშებით მოდიან, მიშასთან ერთად... მშვიდად გადმოკვეთეს საზღვარი, შეუერთდნენ იქვე მყოფ ათასობით ადამიანს და დაიძრნენ... წნევამ ხომ არ აგიწია, ბბ? გზად მხარდამჭერები უერთდებიან ქალაქებიდან და სოფლებიდან. უერთდებიან იმედგაცრუებული გლეხები, მოტყუებული ფერმერები, დაჩაგრული პენსიონერები, უპერსპექტივო ახალგაზრდები"!

მაგარი წერილია, უუუმაგრესი... სწორედ ასე უნდა მოხდეს, ის დღე შორს აღარაა, როცა მე მთელ საემიგრანტოსთან ერთად, მილიონობით ქართველთან ერთად დავიძვრები საქართველოსკენ, თეთრ ცხენზე ამხედრებული, მივადგები სარფს, ვითარცა ნაპოლეონი, ჭოგრიტით გავხედავ საზღვარს და ამაყად დავსჭყივლებ: აბა, გიაურო, მოვდივარ და დამხვდი!

- მიქაელ! — გაისმა ქალის ხმა კართან.

- აუუუ... ამან კიდე ხო ცალკე შემცა, რააა! — გამოერკვა უცებ ტკბილი ზმანებიდან მიქაელი და რეიტუზი ამოიცვა.

კარი გამოაღო. ზღურბლზე სიდედრი იდგა ჰუსართა ოფიცერივით, ოღონდ ხელში ხიშტის ნაცვლად ჯიყა ცოცხი ეჭირა.

- მიქაელ, ეზოში ჭადრის ფოთლები ჩამოცვივნულა... წუხელ საშინელი ქარი იყო.

- კარგი, თავი მისკდება, გამაყუჩებელს დავლევ და მოვგვი, — მიუგო მიქაელმა და ოთახში ბუზღუნით შეტრიალდა.

ჰმ... საშინელი ქარი იყოო. მიქაელს კიდე ეგონა, რომ მის თავში იყო ქარიშხალი, სეტყვა და თოვლი. საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო, "ანალგინი" იპოვა, ერთი ცალი ენის წვერზე დაიდო და ჭიქით წყალი მიაყოლა. ოთახის კუთხეში კედები ეყარა, ფეხები ეგრევე წაჰყო და ეზოში გავარდა, სადაც ქარს ჭადრის ფოთლები მიმოეფანტა. სიდედრი იქვე იდგა ჰუსართა ოფიცერივით, ოღონდ ხელში ხიშტის ნაცვლად ცოცხი ეჭირა.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ავტოკეფალიაა თუ ხონთქრის წყალობა?

## სამღვდელო პირს, რომელიც თურქეთის ხონთქრის ხელდასმით ინიშნებოდა და ინიშნება, როცა უნდა მაშინ გადააყენებს დღევანდელი „ხონთქარი“ ერდოღანი?



„დასავლური ძალების მიერ წაქეზებული ე.წ. მსოფლიო პატრიარქი (ბართოლომეუსი) გააფთრებით უტევს მართლმადიდებლობას და ცდილობს არა მხოლოდ რუსებსა და უკრაინელებს, არამედ მსოფლიო მართლმადიდებლებს შორის განხეთქილების ჩამოგდებას. ეს კონსტანოპოლის საპატრიარქოს მხრიდან მართლმადიდებლობაში განხეთქილების შეტანის პირველი მცდელობა არ არის“, ასე აფასებს მართლმადიდებელი სამყაროს უდიდესი ნაწილი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭებას. მსოფლიოს თითქმის არცერთმა ავტოკეფალურმა ეკლესიამ, მათ შორის საქართველოს საპატრიარქომ, არ აღიარა პატრიარქ ბართოლომეუსის გადაწყვეტილება, ცნობისთვის, მას მოწინააღმდეგეები თავად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოშიც ჰყავდა, რამდენიმე მეუფემ ხელი არ მოაწერა ტომოსს, უკრაინის ეკლესიისთვის ე.წ. დამოუკიდებლობის მინიჭებასთან დაკავშირებით. კოლექტიური ნაცები და მათი სატელიტი მედია-„ენჯეოშნკები“, „დემოკრატი-პროდასავლელები“ ისე აჟრიამულდნენ, რას ჰქვია საქართველოს საპატრიარქო და ხელისუფლება არ აღიარებს და ულოცავს უკრაინას ავტოკეფალიის მიღებასო, რომ მიმდინარე პროცესების ზემოხსენებული შეფასება, აშკარად არ არის საფუძველს მოკლებული. რამდენიმე „ლიბერალმა“ მღვდელმსახურმა მეუფე პეტრე (ცაავა) მეთაურობით, ანუ ნაცმოძრაობის „ფანკლუბის“ წევრებმა რა თქმა უნდა აღიარეს და მიულოცეს უკრაინას, პარალელურად ჩვენი საპატრიარქო და კათალიკოს-პატრიარქიც გააკრიტიკეს, რომ „თანადგომას“ არ უცხადებენ უკრაინელებს და ა.შ. ისე, ყველაზე „შთამბეჭდავი“ მაინც განათლების ექს-მინისტრის და პოლიტოლოგის გია ნოდიას განცხადება გახლდათ, საპატრიარქომ თურმე იმიტომ არ მიულოცა პრეზიდენტ პოროშენკოს ესოდენი „წარმატება“, რომ ქართველი მღვდელმთავრების დიდი ნაწილი ან რუსეთის აგენტია და ამაში ფულს იღებენ, ანდა ინსტიქტურად და ემოციურად პრორუსია. ბატონი ნოდიასთვის სუსტი არგუმენტი ყოფილა ხელისუფლების წარმომადგენელთა პოზიცია, რომ თუ ჩვენ უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას ვაღიარებთ, რუსეთის ეკლესია აფხაზეთის ავტოკეფალიას აღიარებს. უფრო ძლიერიც რომ იყოს ეს ფაქტორი, მაინც არ არის გადამწყვეტიო, ბრძანებს რეალურ მიზეზი მაინც მღვდელმთავრების აგენტობა და პრორუსულობააო. უცხოურ გრანტებზე გაყიდული კიკუებისთვის სამშობლოს ინტერესების წინა პლანზე დაყენება, ყოველთვის სუსტი არგუმენტი იქნება, მთავარია, „პატრონი“ რას გიბრძანებს. ამის სამწუხარო მაგალითი იყო ნაცხელისუფლების მიერ მართლმადიდებელი სერბეთის ტერიტორიაზე შექმნილი ხელოვნური სახელმწიფოს, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება. მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, რომ ეს ნაბიჯი სავალალო შედეგს მოუტანდა საქართველოს, სააკაშვილმა და მისმა გუნდმა არაფრად ჩააგდო რჩევა, რასაც საპასუხოდ რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება მოყვა. ისე, კოლექტიურ ნაცებს ეს დიდად არც ანაღვლებთ, მათი ბელადისთვის ხომ დაკარგული ქართული სოფლები მხოლოდ ქვებისა და ღორღის გროვაა.



ყველაზე კურიოზული ის არის, რომ საქართველოში „პირველმა პოლიტიკურმა ოპოზიციამ“ აღიარა უკრაინელი „რასკოლნიკების“ საეჭვო დამოუკიდებლობა და საქართველოს საპატრიარქოს აკრიტიკებენ, რომ აღიარებისგან თავს იკავებსო. კოლექტიური ნაცებისა და მათი სატელიტი ყველა არამკითხე მოამბის საყურადღებოდ, რომლებიც მსუყე დაფინანსების მოლოდინში დაირაზმნენ უკრაინელი მართლმადიდებლების „სადარაჯოზე“, კვიპროსის არქიეპისკოპოსმა ქრიზოსტომ მეორემ უარი თქვა უკრაინის ახალი ეკლესიის მეთაურის მიღებაზე. მან არ მოისურვა საეკლესიო მსახურებაში მოეხსენიებინა ხსენებული ეკლესიის მეთაური, მიტროპოლიტი ეპიფანე და სტუმრად მიეწვია. არქიეპისკოპოსისთვის შეუთავაზებიათ, კვიპროსზე მიეღო უკრაინის ახლახან ჩამოყალიბებული ეკლესიის წინამძღოლი ეპიფანე (დუმენკო), მაგრამ მან ეს შეთავაზება უარყო. ქრიზოსტომ მეორემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის ეპიფანეს არასდროს მოიხსენიებდა ლიტურგიის დროს და არც მომავალში მოიხსენიებს. არქიეპისკოპოსმა ასევე უარყო უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციაც, რომ უკრაინის ელჩთან შეხვედრისას, თითქოს მხარი დაუჭირა უკრაინისთვის ტომოსის (საეკლესიო ბრძანებულება) მინიჭებას. აშკარაა, რომ ის, რაც კონსტანტინოპოლის პატრიარქმა გააკეთა, უბრალოდ აფეთქებაა მართლმადიდებელ სახლში, ეს აბსოლუტურად პოლიტიკური საქმეაო.

თუკი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინამძღოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ შეთანხმებულ საეკლესიო კანონებს, საეკლესიო კანონიკურ ნორმებს, რატომ უნდა აღიაროს და დაუჭიროს მხარი საქართველოს საპატრიარქომ ამ გადაწყვეტილებას, მითუმეტეს, რომ ეს ნაბიჯი ქვეყნის ინტერესებსაც აზიანებს? მხოლოდ იმიტომ, რომ ადგილობრივმა ლიბერასტულმა კონტიგენტმა პრორუსულობა და კრემლის აგენტობა არ დაგვწამონ, მხარი უნდა დავუჭიროთ უკრაინის პრეზიდენტ პოროშენკოს „ხელდასმით“ ჩამოყალიბებულ მართლმადიდებელ ეკლესიას და მის საეჭვო ავტოკეფალიას? აქ მოძმე უკრაინელების მხარდაჭერა არაფერ შუაშია, რადგან, როგორც კოლექტიური ნაცები თავიანთ ფანკლუბიანად არ არის მთელი საქართველო, ისე პოროშენკოს „მრევლი“ ე.წ. პატრიარქ ფილარეტიანად და კანადა-ამერიკიდან ექსპორტირებულ მღვდელმთავრებიანად არ არიან მთელი უკრაინა. ის კიდევ საკითხავია, უკრაინელები მხოლოდ ისინი ხომ არ არიან, ჰიტლერის მოთაყვანე ბანდერასა და შუხევიჩის ფოტოებით აღჭურვილები, მაშხალებით, ფაშისტური ლოზუნგების ღრიალითა და დოლების ბრაგუნით რომ დააბოტებენ კიევისა თუ უკრაინის სხვა ქალაქების ქუჩებში. ენამხვილ უკრაინელებს, რეიტინგდაქვეითებულ პოროშენკოს ასეთ „ავტოკეფალიურ გარჯილობასთან“ დაკავშირებით ანეგდოტიც „გამოუცხვიათ“, თუ არავის ელოდებით და კარზე ზარია, არ გაუღოთ, უეჭველეად პოროშენკო იქნება ტომოსითო. რაც შეეხება ავტოკეფალიას, რომელ დამოუკიდებლობაზეა საუბარი, როცა უკრაინის „ნავაროჩენი“ ეკლესიის მეთაურს, ოკეანისგაღმიდან მოვლენილ ეპიფანეს და სინოდს, მიტროპოლიტის დანიშვნის უფლებაც კი არ აქვს, ეს მხოლოდ ბართოლომეოსის პრეროგატივაა. აქ კიდევ უამრავი დეტალია, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს, ასე, რომ უკრაინელებმა ეკლესიის ავტოკეფალია კი არა, მთლიანად არარსებული კონსტანტინოპოლის საპატრიარქოზე სრული დამოკიდებულება მიიღეს.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს საუბრობდნენ მართლმადიდებელი მღვდელმთავრები კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არცთუ მთლად წმინდა და პატიოსან ქმედებებზე, მართლმადიდებლობაში განხეთქილების შეტანის მცდელობებზე. ომებმა ძლიერი გავლენა იქონია მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობაზეც, ზოგიერთმა ეკლესიამ მიიღო თავისუფალი და უკეთესად განვითარების შესაძლებლობა, სხვები შიდა განხეთქილებისგან დასუსტდნენ. მართლმადიდებელი ეკლესიებიდან პირველმა ახალი რომის — კონსტანტინოპოლის ეკლესიამ მიიღო ავტოკეფალია, რომელსაც ხელმძღვანელობს ე.წ. მსოფლიო პატრიარქი და ამიტომ იწოდება, როგორც მსოფლიო საპატრიარქო. უბრალოდ, კონსტანტინოპოლის ეკლესია წარმოადგენს პირველს თანასწორთა შორის და არა სხვა მართლმადიდებელი საპატრიარქოების უფროსს, არც ბართოლომეოსია „მართლმადიდებელი ეკლესიების დირექტორი“, როგორადაც ცდილობს ის თავი წარმოჩენასო. ერთი ძალზე საგულისხმო დეტალი — მსოფლიო პატრიარქმა ჯერ კიდევ თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამდე მიიღო სულთნისგან ტიტული მილეთ-ბაში, ანუ ხალხის მეთაური, თურქეთის (ოსმანთა) იმპერიაში მცხოვრები მართლმადიდებლების ხელმძღვანელად ითვლებოდა, რაც თურმე ხელს არ უშლიდა თურქეთის მთავრობას, როცა მოისურვებდა, მაშინ შეეცვალა პატრიარქი, დაენიშნა არჩევნები, თანაც ახალ არჩეულისგან ყოველთვის იღებდნენ დიდ ხარკს. როგორც ჩანს, ხარკის აღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თურქებისთვის, რადგან ზოგჯერ უკვე შეცვლილ პირს აბრუნებდნენ ხოლმე პატრიარქის ტახტზე. ეს „პრაქტიკა“ რომ დღესაც გრძელდება, ხშირად საუბრობენ რუსეთის მედიასაშუალებები. მსოფლიო პატრიარქად წოდებული ბართოლომეოსი თურქეთის არმიის ყოფილი ოფიცერია, მას კაპიტნის ჩინით დაუტოვებია სამხედრო სამსახური. ეს ე.წ. საპატრიარქო სტამბოლის (ყოფილი კონსტანტინოპოლის) ერთ-ერთ პატარა ქუჩაზეა შეყუჟული ფრიად მოკრძალებულ შენობაში. ბართოლომეოსსა და საპატრიარქოს სხვა წარმომადგენლებს უფლება არ აქვთ სტამბოლის ქუჩებში ანაფორით გამოვიდნენ. რა გამოდის, ყველა მართლმადიდებლის წინამძღოლობაზე აქვს პრეტენზია ადამიანს, არიგებს ტომოსებსა და ავტოკეფალიებს სამღვდელო პირი, რომელიც თურქეთის ხონთქრის ხელდასმით ინიშნებოდა და ინიშნება, როცა უნდა მაშინ გადააყენებს დღევანდელი „ხონთქარი“ ერდოღანი? ამ ე.წ. მსოფლიო პატრიარქისგან მინიჭებულ ავტოკეფალიას ესწრაფოდნენ უკრაინელები, ხონთქრის ჯარში ნამსახურ და დღესაც მათ ხელქვეით ბართოლომეუსს უნდა დაუქვემდებარონ კიევო-პეჩორის ლავრა, ვლადიმირისა თუ წმინდა სოფიას მრავალსაუკუნოვანი ტაძრები? ხონთქარი თავისი ხელქვეითის მეშვეობით მალე ალბათ ხარკის გადახდასაც მოსთხოვს უკრაინელ მართლმადიდებლებს. „მშვენიერი“ პერსპექტივაა, ვერაფერს იტყვი.



**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# რად სურთ ამ „ჰუმანოიდებს“, რომ არაფერი გვერქვას, არავინ ვიყოთ, ანდა ვიყოთ ვინმე სხვა?

## გამოხმაურება ვახტანგ ხარჩილავას წერილზე „უკადრისა“ („სგ“, N47, 2018 წ.)



**კობა არაბული:**

ვახტანგ ხარჩილავას წერილმა „უკადრისა“ ოცი წლის წინათ გამოქვეყნებული ჩემი წერილი გამახსენა, რომელშიც იმავე თემაზეა საუბარი, რომელზეც ბატონი ვახტანგი თავის პუბლიკაციაში ლაპარაკობს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს უმწვავესი საკითხი დღემდე არ მოგვარებულა და ყველაფერი ძველებურად დარჩა.

გთავაზობთ ოცი წლის წინათ დაბეჭდილი ჩემი წერილის მოკლე ვარიანტს.

●

კანონს, რომლის ძალითაც მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებიდან ამოღებულია მამის სახელი და ეროვნების მიმანიშნებელი რეკვიზიტი, საზოგადოებრიობის პროტესტი მოჰყვა.

ქართველ კაცს ორი რამ შემორჩა, როგორც შორეულ საუკუნეთა სახსოვარი და თვითმყოფადობის ნისანი: მამული, ანუ მიწა, რომელზედაც ცხოვრობს და თავისი ვინაობა, ანუ ეროვნული სახე – შემკული ენითა და სარწმუნოებით!..

გვინდა ვიკითხოთ: ჩვენ, ქართველებს, საკუთარ მიწაზე, საკუთარ სახლში, რატომ არ უნდა გვერქვას საკუთარი სახელი? რად სურთ ამ „ჰუმანოიდებს“, რომ არაფერი არ გვერქვას, არავინ არ ვიყოთ, ანდაც ვიყოთ ვინმე „სხვა“? ეს „სხვად“ ქცევის და „არაფრად“ ქცევის მცდელობის მავნე ტენდენცია არახალია... და ზოგჯერ სხვა დროსაც ჩრჩილივით უჩნდებოდა ჩვენს ერს.

რატომ ჰგონიათ ამ „ჰუმანოიდებს“, ქართველისთვის ქართველის დარქმევით, სომეხისთვის სომეხის დარქმევით (და ასე შემდეგ), ვინმე ვინმეს „რეზერვაციებში“ მოაქცევს? „რეზევრაციები გვინდაო“? კითხულობს ამერიკის ხმის საკმაოდ უტიფარი ქართველი კორესპონდენტი...

ეროვნების აქცენტირება, მავანთა მტკიცებით, კომუნისტური რეჟიმის მავნე გადმონათში ყოფილა?! არა, ბატონო! – პირიქით: კომუნისტური რეჟიმი იყო სწორედ ის, ვისაც სურდა წაერთმია, წაეშალა) ენა, ეროვნება და ტრადიციული ნიშან-თვისებანი ყველა დანარჩენი ხალხისთვის და რუსულ ტალახში აეზილა! სწორედ ამან გამოიწვია „საყოველტაო აჯანყება“ და წითელი იმპერიის დამხობა.

დღევანდელ ეტაპზე კაცობრიობა მსოფლიო ეროვნული თავისუფლებისკენ, ერთა თვითმყოფადობისკენ მიილტვის, ტრადიციულ ნიშან-თვისებათა აღდგენა-გადარჩენის ნიშნით ვითარდება!

მსოფლიო თანდათან მნიშვნელოვანი და საინტერესო ხდება თავისი კულტურული მრავალფეროვნებით, ერთა ეროვნული თვისებებით, ადათ-წესებისკენ მისწრაფებით.

ეროვნების წაშლას საბუთებში, პირადობის მოწმობებში წარმომავლობის და მამის სახელის ამოღებას დავიწყებისკენ, დაბოლოს, გაქრობისკენ მივყავართ! ეს არის იმის წინააღმდეგ ბრძოლა, რის დასაცავადაც ჩვენი წინაპრები იკლავდნენ თავს და, რაც მათ გადაგვირჩინეს!

ასეთ პოზიციას ერთი და იგივე სახის უსახეო მენტალიტეტის „პერსონაჟები“ იცავენ, რომელნიც, ვერ გაიგებ, რა ეროვნების, რა ჯიშის და რა ასაკის არიან!

„ამერიკაში ასე უწერიათო!“ ჩვენ არა ვართ ამერიკა და ამერიკელები: ურბანისტულ-კოსმიურ-გლობალური ცივილიზაციის კოლოსი, რომელშიც შეზელილია მრავალი რასა და ერი, შეძენილი აქვს სხვა სახე და სხვა ფუნქცია აკისრია სამყაროში!

ჩვენ უძველესი კულტურის ერი ვართ, მსოფლიოში 14 ანბანიდან ერთ-ერთის მფლობელი და მომტანი! ეს უნდა გვახსოვდეს და ამ ანბანით უნდა მტკიცედ შეგვეძლოს საკუთარი გვარ-სახელისა და ვინაობის აღნიშვნა! წარწერების კეთება შორეულ საუკუნეთა კედლებზე!..

მამულის (მიწა-წყლის) წართმევა-გაყიდვა და ეროვნული კოდის წაშლა, ანუ უსახელო და უსახეო კლოუნებად გადაკეთება რუსთაველის ერისა (ხალხისა), რომელიღაც ასეთივე უსახეო და უსახელო ურჩხულის მიზანია, რომელსაც სურს, ყველაფერი თვითონ დაიმგვანოს და იმად აქციოს, რაც და როგორიც თვითონ არის!

ჩვენ, მავანნი, ამ ურჩხულის „მუსიკას ვისმენთ“ და ვიძინებთ, და ვიმყოფებით ზომბირებულ მდგომარეობაში, რაც განსაზღვრავს ჩვენს ანომალურ ქმედებას, მიმართულს ერის სასიცოცხლო ინტერესთა წინააღმდეგ... სხვაგვარად „ეროვნული თვითმკვლელობის“ მომსწრეთა საქციელს გამართლება (ახსნა) არ მოეძებნება!

ამერიკელს, ფრანგს, გერმანელს, თურქს ეწერება თუ არ ეწერება თავის პასპორტში ეროვნება, ამით მათ არც არაფერი დააკლდებათ, არც მოემატებათ! ვინაიდან მათ არ უდგათ ჩვენნაირი პრობლემები, ისინი – სახელმწიფოები და ზესახელმწიფოწები, სულ სხვა ინტერესებით ცხოვრობენ და არ არიან გაჩხერილი, ჩვენნაირად, გეოპოლიტიკურ „ბერმუდის სამკუთხედში“...

ჩვენ კი ამერიკაისა და გერმანიის მაგალითები მოგვყავს, მათი კანონების მიხედვით ვაყალიბებთ ცხოვრების წესს! ქართველ ერს სულ მცირე 3000-წლოვანი ცნობიერი ცხოვრების ისტორია გვიდევს უკან; იქიდან რატომ არ ვსწავლობთ? რატომ არ მოგვყავს წინაპართა ცხოვრების მაგალითები? – მიწის ფლობის (მიწაზე ცხოვრების) წესი და კულტურა, სახელმწიფოებრივი და სათემო რჯულის კანონები, – გვევლინება ჩვენი „არგადაშენების“ და ისტორიიდან „ვერამოშლის“ უმთავრეს მიზეზად, – და თუ ჩვენ კიდევ შემოვრჩით ამ დედამიწას, მხოლოდ იმიტომ, რომ ეროვნული სახე და სახელი არ დაგვიკარგავს და ისევ გვახსოვს „ვისი გორისანი ვართ!“

თუ ასე გავაგრძელებთ, ერთ მშვენიერ დღეს ქართველ კაცს (და მომავალ თაობას!) გაეღვიძება სხვის მიწაზე – საკუთარ სამშობლოში, თანაც უგვარსახელოდ, ვინაობის გარეშე, – ისე, როგორც ამერიკულ მაზომბირებელ ფილმებშია: ვერ გავიხსენებთ, ვინ ვართ და საიდან მოვედით! შესაძლოა, მხოლოდ აპოკალიფსური რიცხვები (ნომრები) გვეწეროს ბეჭზე – ჩვენი ვინაობის აღმნიშვნელი...

ახლაც, თუ მაინც და მაინც, ვინმეს დიდი სურვილი აქვს, რომ არც თვითმყოფადი სახე ჰქონდეს და არც საკუთარი ჯიშის და გენის (ანუ ვინაობის) აღმნიშვნელი ნიშნები: – დაიწეროს სასურველი ნომერი, ისევე, როგორც საკოლმეურნეო პირუტყვს ნომრავდნენ ხოლმე... – ოღონდ ერს და ქვეყანას თავი დაანებონ!



ერი მიწა-წყალია და ამ მიწა-წყალზე განფენილი მოსახლე ხალხის (მასის) ერთიანი სურათი. ვინ არის და როგორია ეს ხალხით, ამით განისაზღვრება მიწის ამ მონაკვეთის სახე და სახელი სივრცეში...

საქართველო ქართველთა სამშობლოა, ამიტომ ეწოდება საქართველო, ხოლო ქართველს – ქართველი!

სომეხთა სამშობლოს – სომხეთი და სომეხს – სომეხი და ასე შემდეგ...

ჩვენ არავის ვუშლით (ვუკრძალავთ) სასქართველოში ცხოვრებას, ასე იქცეოდნენ ჩვენი წინაპრები, და კერძოდ, დიდი დავით აღმაშენებელი.

ჩვენც ასევე მოვიქცევით!

რატომ ნიშნავს „რაღაც რეზერვაციის“ შექმნას ეროვნების ჩაწერა საბუთში, პირადობის მოწმობაში? – საქართველოში,. და სადაც გნებავთ, ქართველი ერქვას ქართველს, განა ეს სხვისთვის შეურაცხმყოფელია? ან საშიშია?

სომეხს სომეხი ერქვას, რუსს – რუსი, საქართველოშიც და თავის სამშობლოშიც – დასაძრახია?!

ჰქონდეს ყველას თავისი სახელი და ვინაობა – ყველგან, სადაც არის და როგორც არის და მიაგონ ასე პატივი ერთმანეთს ცოცხლებმაც და მკვდრებმაც, პატივი სცენ ერთმანეთის სამშობლოს და საკუთარ სამშობლოსაც, უპირველეს ყოვლისა!

რა „რეზერვაციაზეა“ საუბარი? თუ რუსს, ოსს, აზერბაიჯანელს, ებრაელს არ მოსწონს საქართველოში ქართველებთან ცხოვრება – ადგებიან და წავლენ თავის სამშობლოში – აგერ ცხვირწინ!

ამისათვის რატომ წავიშალო მე ჩემი ეროვნება, ან რატომ წავუშალო სხვას? – ეს უფრო მეტი დისკრიმინაცია არ არის?

ანდაც ქართველმა საკუთარ სახლში (მამულში) მეპატრონისა და მასპინძლის ფუნქცია სხვას რომ გადააბაროს – საინტერესო იქნება ამ სხვისთვის? ან, საერთოდ, ვინმესთვის?

ბევრი რამ გაუგებარია და ბუნდოვანია ამ ჭრელი მასის „ლოგიკაში“, რომლებიც ერთდროულად, ან რატომღაც ძალიან აქტიურად აწრიალდნენ და მოაწყდნენ პრესასა და ტელევიზიის ეკრანებს „ეროვნების წინააღმდეგ“... – საკუთარი სამშობლო რატომღაც უცნობ (უცხო) ქვეყნად უნდა აქციონ, შიგ მოსახლე ასევე უსახეო მასის სახით.

– არ გამოუვათ!!!!

ახლა ისევ დიდ ილიას მოვუსმინოთ:

„ბევრ ერს ქვეყანაზე სულაც არ ჰქონია წარსული, სულაც არ ჰქონია ისტორია, ე.ი. იმისთანა ცნობიერი ცხოვრება, რომელიც გამოსახავს ხოლმე სულიერს და ხორციელს ვინაობას ერთიანის კრებულისას, მის მიზიდულობას, მის აზრსა და საგანს არსებობისას, მის წმინდათა წმინდას (!!!)... ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის, ვინ არის, რისთვის არის, საიდან მოდის და სად მიდის... ამიტომ ასეთი ხალხი ბევრად არ გამოირჩევა პირუტყვთაგან და იქნება ბევრში უკანაც ჩამორჩება!“

ულმობელი შეფასებაა, მაგრამ რას იზამ! ჩვენც ამ წერილს ამითვე დავამთავრებთ, გამგები გაიგებს და თუ არა – თავის თავს დააბრალოს!

**გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,**
**N32, 6 თებერვალი, 1999 წელი**

## განცხადება

**იზიარებს რა საზოგადოების ინტერესს და ხიფათის განცდას, მწერალთა ეროვნული აკადემია დაბეჯითებით სთხოვს ხელისუფლებას და პარლამენტს: ხელახლა დადგეს ეს საკითხი განსახილველად, დაუბრუნდეს ქართველ კაცს თავისი მამის სახელი და ეროვნება, რომ მისი საბუთი (პირადობის მოწმობა) იყოს მისთვის გენეტიკური კოდის შემცველი და მისი მეობის და წარმომავლობის შემნახავი1**

**საზოგადოებას ვთხოვთ, გააქტიუროს ეს იდეა!**

ქართველ მწერალთა ეროვნული აკადემია

# ხიდის ასაშენებლად ორი ნაპირია საჭირო – ცალ მხარეს ხიდი არ აშენდება!



„საერთო გაზეთის“ სტუმარია აფხაზი პოეტი და მთარგმნელი **ნიკა ბაძალუა**. ის გახლავთ სოხუმის უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტი.

ნიკა ფლობს ქართულ, რუსულ, აფხაზურ ენებს და თარგმნის ამ ენებზე დაწერილ პოეტურ ქმნილებებს. მაგალითად, თარგმნის აფხაზურ ლექსებს ქართულად და ასევე, აფხაზურად ქართულს.

მან, ასევე, იცის რამდენიმე ჩრდილო კავკასიური ენა, შესანიშნავად საუბრობს მეგრულად.

როგორ და რატომ გადაწყვიტა საქართველოში ჩამოსვლა და აქ სწავლის გაგრძელება, ამის შესახებ ნიკა ბაძალუა თავად მოგვიყვება.

**ნიკა ბაძალუა**: ჩემი ჩამოსვლა უკავშირდება 2012 წლის აგვისტოს. მაშინ ქუთაისში მომიწვია ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა **ენდი ნემსიწვერიძემ**. ის გახლდათ ჩემი პირველი მასპინძელი ენგურსგამოღმა.

აფხაზეთის მკვიდრი ვარ ძირფესვიანად, იქ დაბადებული და გაზრდილი. სკოლაც იქ დავამთავრე.

მას შემდეგ, რაც ქალბატონმა ენდიმ მომიწვია, ხშირად ვსტუმრობდი აქაურობას. ჩემი მშობლიური ენა არის აფხაზურიც და ქართულიც, რადგან მე გახლავართ აფხაზი ქართველი, ანუ იგივე ქართველი აფხაზი.

აფხაზი და ქართველი ჩემთვის ისეთივე განუყოფელი ნაწილია, როგორც ერთ უღელში შებმული ლომა და ბუსქა, რომელსაც ხშირად ახსენებს თავის შემოქმედებაში **დიმიტრი გულია** და არა მარტო ის, თვით დიდებული **შოთა ნიშნიანიძეც**.

როგორც ოდითგანვე, ერთ უღელს ეზიდებოდნენ ლომა და ბუსქა, ასეთივე უღელში იყვნენ გაბმული ქართველი და აფხაზი. ჩვენი დროებითი გამიჯვნა ერთმანეთთან, ეს ოცდამეშვიდე წელი, ისტორიის ფურცლებისთვის არაფერია, მაგრამ ჩვენთვის, ადამიანებს შორის ურთიერთობისთვის იმდენად დიდი და დამაბრკოლებელი აღმოჩნდა, რომ ურთიერთშორის გაუცხოებას განვიცდით.

ის, რაც დედამიწაზე არავის გააჩნია, არც აზიელებს, არც ევროპელებს და არც არავის, კავკასიელების გარდა, ეს არის მორდუობის ინსტიტუტი და იგი ყველაზე მძაფრად და მყარად არის ფესვგადგმული ქართველებსა და აფხაზებს შორის. როგორც იცით, ასეთი რამ ჩეჩნებშიც არის, ინგუშებშიც, მაგრამ ასე მძაფრად არსად არ ყოფილა არასდროს.

ამის ბრწყინვალე მაგალითად გამოგვადგება **შოთა ნიშნიანიძის** აფხაზური კანტატა. ეს კანტატა 5 ნაწილისგან შედგება. არ ვიცი, რატომ და რის გამო, არადა, მკითხველთა უმეტესობისთვის კანტატის მხოლოდ 4 ნაწილია ცნობილი და ამ ოთხ ნაწილშიც სტრიქონებია ჩამოშორებული. მე მაქვს „აფხაზური კანტატის“ უძველესი გამოცემა, რომელიც ჩემმა თბილისელმა ახლობელმა მაჩუქა და არის სრულად. რაც კი ძვირფასი ყოფილა ამ ლექსში, ყველაფერი ამოღებულია და დარჩენილია მხოლოდ ოთხი ნაწილი, რაც ნიშნავს, რომ ვიღაცები ცდილობდნენ სულიერი სიმდიდრეც, ლექსიც მოესპოთ და ამით სულიერი კავშირებისთვის გაევლოთ მუსრი. თუმცა მორდუობის ინსტიტუტს ვერც ჟამთა უკუღმართი ტრიალი და ვერც ტყვია ვერ მოკლავს. ეს ისეთი გაუწყვეტელი სიმია, რომელსაც ვერაფერს ვერ დააკლებს დრო. ის ჩაკირულია ჩვენ ორს შორის, სამუდამოდ.

რა უნდა იყოს იმაზე მნიშვნელოვანი, როცა ქართველი კაცი თოთო ბავშვს, 18 წლამდე, აღსაზრდელად აფხაზს ანდობდა, რითაც ქართველი ბავშვი აფსუარაზე, ანუ აფხაზურ მორალურ კოდექსზე იზრდებოდა აფხაზ ქართველად — ძმას რომ ძმაზე არ აღემართა ხელი და გაზრდილიყვნენ ძუძუმტეებად და არა ისე, როგორც დღეს ვხატავთ ერთმანეთის მტრებად. მტრები რომ ყოფილიყვნენ, ერთმანეთს შვილს არ ანდობდნენ გასაზრდელად.



ეს ფაქტი ერთადერთი თუ არა ერთ-ერთი მყარი საფუძველია იმისთვის, რომ აფხაზი ქართველისთვის უცხო არ არის, არც ქართველია აფხაზისთვის უცხო. ერთმანეთზე უკეთესი ამ ორ ერს არ ჰყავს, რაც უნდა ვეძიოთ სადმე.

მე მინდა ვთხოვო, თუ მოვითხოვო. არ ვიცი, როგორ ვთქვა — არ დავკარგოთ ერთმანეთი, არ დავკარგოთ ტრადიციები, თორემ მერე მართლა დაიკარგება და გავიხლიჩებით შუაზე. აფხაზმაც და ქართველმაც უნდა ვიფიქროთ ამაზე, კიდევ ბევრი ქართველი აფხაზი და აფხაზი ქართველი უნდა გამოვზარდოთ!

**— ძალიან ბევრ აფხაზეთიდან დროებით გადაადგილებულს ვიცნობ, მაგრამ არ ვიცი ისეთი ადამიანი, რომელსაც მიუხედავად გადატანილი უამრავი ტრაგედიისა, ვინმეს სიძულვილით ან აგრესიით ეხსენებინოთ აფხაზი. პირიქით, მონატრებაც იგრძნობა რაღაცნაირი. აფხაზურ მხარეს რა ხდება?**



ივანე თარბა და ქართველი მწერლები

— არც ისე დიდი ხანია, რაც გავიცანი და დავმეგობრდი ნაზიბროლა ფერცულიანის ოჯახთან. ამ ადამიანის ოჯახი მეუღლე და შვილი აფხაზეთის ომმა შეიწირა. თვითონ მას ჭურვის ნამსხვრევი მოხვდა და დაიჭრა, სახლიც დაენგრათ. ამის მიუხედავად, ეს ადამიანი აფხაზებს სიყვარულით იხსენებს. მასში მე სიძულვილი არ მიგრძვნია. სიძულვილი და ზიზღი იმ ადამიანებში უფრო იგრძნობა, რომლებსაც არ გადაუტანიათ ეს ტკივილი, არც აფხაზეთი უნახავთ და არც იცნობენ ვინმე აფხაზს. იმავეს ვიტყვი აფხაზებზეც.

აფხაზებში, ჩემს თაობაში ქართველებისადმი ზიზღი რომ იყოს, არც შემოქმედებას, კულტურას, არაფერს არავინ არ გაეკარებოდა და არც დაინტერესდებოდნენ.

რამდენიმე ხნის წინ აფხაზურად ვთარგმნე **ტერენტი გრანელი** და მინდა ვთქვა, აფხაზეთში დღეს ჩემმა თაობამ უფრო მეტი იცის ტერენტი გრანელზე, ვიდრე იგივე თაობამ, 23–24 წლის ახალგაზრდებმა, საქართველოში.

შეიძლება სიყვარული ჩვენ ორ ხალხს შორის ისეთი აშკარა არ იყოს, როგორც ჩვენ მას გულებში ვატარებთ, რადგან ამ ავბედითი ომის შემდეგ რაღაც გვბოჭავს, რომ ერთმანეთს ვუთხრათ, რაც გულში გვაქვს და გავუმხილოთ ურთიერთსიყვარული. რატომღაც არ გვინდა, ერთმანეთს გამოვუტყდეთ, რომ ერთმანეთზე უკეთესი არავინ გვყავს, მაგრამ ეს დუმილიც გვანგრევს ორივეს, ერთბაშად.

**— ბიძინა ივანიშვილმა ადრე თქვა, რომ უდიდეს კომპლექსს აშენებდა აფხაზეთში, თავისი ბაღით და პარკებით, მაგრამ აფხაზებმა უპასუხეს: ქართველებს ბოდიშიც კი არ მოგიხდიათ იმ ომზე, რომელიც გააჩაღეთ და ახლა რაღას გვთავაზობთო. არადა, ქართველი პროვოკაციაზე წამოეგო და ის არანაკლებ და შეიძლება უფრო მეტადაც დაზარალდა ამ ომში, ვიდრე აფხაზი.**

— კი, გასაგებია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ერთმა მხარემ რაც არ უნდა ჰქნას, მეორე თუ არ მიეხმარა, არაფერი გამოვა, ცალ მხარეს ხიდი არ შენდება.

აფხაზებს, გარდა აფხაზეთისა, დედამიწაზე სხვა სამშობლო არა აქვთ.

საუკუნეები ერთად რომ მიდიოდა ეს ორი ერი და დარწმუნებული ვარ, ამას 27 წელი ვერ გახლეჩს.

**— დიდ საქმეს აკეთებ, ნიკა, თარგმნი, ადამიანებს ერთმანეთს აახლოებ. როდიდან გაგიჩნდა ეს სურვილი და მიზანი.**

— სკოლა აფხაზეთში დავამთავრე და სკოლის ასაკიდან ვწერ ლექსებს. პირველი ლექსი რომ დავწერე, 16 წლის ვიყავი და ეს ტერენტი გრანელის ზეგავლენით მოხდა. დავიწყე გრანელის კითხვა და მივხვდი, რომ ადამიანის თვალსაწიერში ხილული ბევრად მეტია, ვიდრე უხილავი. მე მას აღვიქვამ, როგორც უანაფორო ბერს, ისეთი წმინდაა მისი სული.

თვალშეუდგამი სიმაღლეა აფხაზურ პოეზიაში **ივანე თარბა**, რომელიც ბოლო იყო აფხაზი პოეტებიდან, ვინც თარგმნიდა აფხაზურიდან ქართულად და პირიქით. შესანიშნავად იცოდა ქართული და ბევრ მეგრელზე კარგად საუბრობდა მეგრულად. იგი 1994 წელს გარდაიცვალა. ვერ გადაიტანა თავისი მეუღლის **ეთერ კოლონიას** სიკვდილი. ომი რომ ბობოქრობდა, ივანე თარბა სანთლით დადიოდა თურმე სოხუმის ქუჩებში ღამღამობით და ლოცულობდა. რას აკეთებო, რომ ჰკითხეს, უპასუხია: ქართველს ვეძებო, რადგან, ვინც ამ ომში ტრიალებს, არ შეიძლება ან აფხაზი იყოს ან ქართველიო.

**ივანე თარბა** დიდი მეგობარი იყო **გოგლა ლეონიძის**. ხშირად სტუმრობდა კახეთში, პატარძეულში.

აფხაზეთისთვის და საქართველოსთვის ერთნაირად უცემდა გული, როგორც **დიმიტრი გულიას**, **ბაგრატ შინქუბას**, ასევე სხვა ღირსეულ აფხაზებს.

არის ხალხი, ვინც ამბობს: აფხაზი პოეტები ზიზღით წერენ საქართველოზე და ქართველებზეო. ამ ინტერესმა და ამის საპირისპიროს დამტკიცების სურვილმა უფრო გაამძაფრა ჩემი მიზანი — მეთარგმნა. 75 ნაშრომი მაქვს გადმოქართულებული და ეს უდიდესი შრომის საფასურად მაქვს გაკეთებული.

მინდა გავაკეთო და ალბათ, მოვახერხებ ღვთის წყალობით, რომ შევადგინო კავკასიური პოეზიის ანთოლოგია ქართულ-აფხაზურ ენაზე.

რამდენიმე ჩემს მეგობარს ვათარგმნინე ჩემი ტოლი, 24 წლის ახალგაზრდის, სალიმა წვიჟბას ნაწარმოებები და იმედი მაქვს, არ შეწყდება ჩვენი მთარგმნელობითი ურთიერთობა. მინდა შევქმნა ცენტრი, რომელსაც მთარგმნელობით-კულტურული ფუნქციები ექნება.

გვწყალობდეს ღმერთი!

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

## ვახტანგ ხარჩილავა:

# „რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება...“

### რატომ იცავს სახელმწიფო მის მიერ მიღებული კანონებით ცილისმწამებლებს, უსინდისოებს, არაკაცებს და რატომ არ იცავს მათი შეტევისგან წესიერი მოქალაქეების ღირსებას?



გთავაზობთ წერილს, რომელიც წელიწადნახევრის წინათ დაიბეჭდა „საერთო გაზეთში“ (N20, 2017 წ.) ეს წერილი იმ თემას ეხება, რომელიც ბოლო ხანებში კვლავ აქტუალური განსჯის საგანი გახდა პოლიტიკურ წრეებში.

●

საქართველოს მოქალაქეთა დიდმა ნაწილმა შეიძლება არც იცის, ვიღაცამ მაიმუნი რომ გიწოდოს, შენ კი, გაბრაზებულმა და შეურაცხყოფილმა, სასამართლოში უჩივლო შეურაცხმყოფელს, სასამართლო მას კი არ მოსთხოვს შენი მაიმუნობის დამამტკიცებელი დოკუმენტების წარმოდგენას, არამედ შენ მოგიწევს ცნობის მიტანა, რომ მაიმუნი არ ხარ.

იმდენად დიდი მაიმუნობაა ის, რაც ახლა ვთქვი, შეიძლება ვინმეს დაუჯერებლად მოეჩვენოს ეს ყველაფერი, მაგრამ ფაქტს ვერსად წაუხვალთ — ეს ფაქტი კანონის სახით არის ჩამოყალიბებულ-ჩამოქნილი და ქართული მართლმსაჯულება დღემდე ამ კანონით მოქმედებს.

**მოკლედ რომ მოვჭრათ, არსებული კანონი ცილისმწამებლების, უსინდისოების, უტიფრების, არაკაცების, არაქალების, უხამსების, უზნეოების, ცრუპენტელების, ჭორიკნების მხარეზეა, მათ არის გადაფოფრებული, მათ უფრთხილდება, მათ იცავს და არა წესიერ და ნორმალურ მოქალაქეებს.**

კანონებს იმიტომ წერენ და იმიტომ აწესებენ, რომ ადამიანები დაიცვან მოძალადეებისგან, არაკეთილსინდისიერი და უზნეო პირებისგან, ჩვენს შემთხვევაში კი პირიქითაა ყველაფერი.

რა ჰქვია ამას?

რა ჰქვია და სიტყვის თავისუფლების, გამოხატვის თავისუფლების, დემოკრატიული პრინციპების დაცვა ჰქვიაო — გვეუბნება კანონის ავტორი და იქვე ადამიანის უფლებების უზენაეს პრინციპებზე მიგვითითებს.

კი, მაგრამ, ისინი, ვისაც ცილს სწამებენ, ჭორებს უვრცელებენ, ყოვლად უსაფუძვლოდ და უარგუმენტოდ ათას რაღაცას აბრალებენ, ადამიანები არ არიან და ადამიანები არიან მხოლოდ ისინი, რომლებიც ამ უმსგავსობებს სჩადიან?

გამოდის, რომ ეს კანონი, ფაქტობრივად, ორ კატეგრიად ჰყოფს ადამიანებს, რომლებიც ამ კანონის მიხედვით არათანაბარ მდგომარეობაში არიან — ერთ ნაწილს, სიტყვისა და გამოხატვის უფლებებზე აპელირებით, შეუზღუდავი უფლებები აქვს თავსლაფი ასხას მეორე ნაწილს, იმ მეორე, „თავსლაფდასხმულ“ ნაწილს კი კანონი ავალდებულებს ამტკიცოს, რომ თავზე ლაფის დასხმის ღირსი არ იყო, რადგან ღირსეული და წესიერი ადამიანია.

არ არის ეს დისკრიმინაცია?

რა თქმა ინდა,. არის, თუმცა გასაკვირია, რატომ დგას სახელმწიფო მის მიერვე მიღებული კანონებით ცილისმწამებლების, სხვისი პატივისა და ღირსების ხელმყოფი ადამიანების მხარეს და არა მათ გვერდით, რომლებიც ამ უმსგავსობის მსხვერპლნი ხდებიან?

> უილიამ შექსპირი
>
> **სონეტი 66**
>
> ყველაფრით დაღლილს, სანატრელად სიკვდილი დამრჩა,
> რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,
> რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,
> რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,
> რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა,
> რადგან მრუშობით შელახულა უმანკოება,
> რადგან დიდებას სამარცხვინოდ უთხრიან საფლავს,
> რადგან ძლიერი დაიმონა კოჭლმა დროებამ.
> რადგან უწმიდეს ხელოვნებას ასობენ ლახვარს,
> რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად,
> რადგან სიმართლე სისულელედ ითვლება ახლა,
> რადგან სიკეთე ბოროტების ტყვედ ჩავარდნილა.
> ასე დაღლილი, ამ ქვეყნიდან გაქცევას ვარჩევ,
> მაგრამ არ მინდა, ჩემი სატრფო ობლად რომ დარჩეს.

ამ საკითხზე, რომლის გარშემოც მე, როგორც ამ საქმის არასპეციალისტი, შეიძლება ცოტა დილეტანტურად და ზედაპირულად ვსაუბრობ, აი, რას ამბობს **„საერთო გაზეთისთვის“** მიცემულ ინტერვიუში **(„ერთსა და იმავე გადაცემაში დამაბრალეს, თითქოს მე დავწერე ის, რაც არ დამიწერია, ხოლო რაც ნამდვილად მე დავწერე, ის, თურმე, ბიძინა ივანიშვილმა დამიწერა“! — „ს.გ.“, N18, 2017წ.)** კვალიფიციური იურისტი, ქალბატონი ევა გოცირიძე: **„დიახ, გადაცემა „რეაქციაში“ ინგა გრიგოლია მიკიჟინებდა, წადით და სასამართლოში გვიჩივლეთო... კი, წავალთ, მაგრამ რა დაგვხვდება იქ? სიტყვისა და გამოხატვის შესახებ ქართული კანონი შეუდარებლად დიდ უპირატესობას ანიჭებს გამოხატვის თავისუფლებას ადამიანის ღირსებასა და რეპუტაციისათან მიმართებაში. დიფამაციის საქმეებზე სასამართლოში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს, ანუ იმ პირს, ვის წინააღმდეგაც სავარაუდო ცილისწამება გავრცელდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სწორედ მან, ცილისწამების მსხვერპლმა, უნდა ამტკიცოს, რომ მის წინააღმდეგ გავრცელებული განცხადებები სინამდვილეს არ შეესაბამება. თანაც მან ეს უტყუარად უნდა დაამტკიცოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის სარჩელს ვერ მოიგებს. შესაბამისად, წარმოიშობა სამართლებრივი პრეზუმფცია, რომ მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება ნამდვილია, სანამ თავად არ დაამტკიცებს, თანაც უტყუარად, რომ ისინი მცდარია. მარტივად რომ ვთქვათ, მან უნდა დაამტკიცოს, რომ არ არის ქურდი, ავაზაკი ან მეძავი და, სანამ არ დაამტკიცებს, ძალაშია პრეზუმფცია, რომ ის სწორედ რომ ქურდი, ავაზაკი ან სამლარიანი მეძავია. ამასწინათ გადაცემა „არჩევანში“ ნინო ჯანგირაშვილმა დამაბრალა, თითქოს მე დავუწერე ურთმელიძეს გადაწყვეტილება, ხოლო მეორე სტუმარი ზაზა ბიბილაშვილი კი საზოგადოებას არწმუნებდა, რომ განცხადება, რომელიც ჩემი სახელით გამოქვეყნდა, თითქოს მე კი არ დავწერე, არამედ ბიძინა ივანიშვილმა დამიწერა. ნახეთ: ერთსა და იმავე გადაცემაში დამაბრალეს, რომ ის, რაც ნამდვილად არ დამიწერია, თითქოს მე დავწერე, ხოლო რაც ნამდვილად დავწერე, ის მე არ დამიწერია. გამოდის, რომ მე სხვებს ვუწერ, სხვები კი მე მიწერენ. და, რას მთავაზობს ინგა გრიგოლია — ამ კანონის მიხედვით ვამტკიცო მე, რომ, რაც დავწერე, ის ნამდვილად მე დავწერე, ხოლო რაც არ დავწერე, ის არ დამიწერია? ესაა სამართლიანი და ნირმალური პროცედურა? ამგვარად, ჩვენში ადამიანის სახელი, ღირსება და რეპუტაცია, სამართლებრივად, ძალზე ცუდად არის დაცული. სხვათა შორის, მტკიცების ტვირთის ასეთი განაწილება ეწინააღმდეგება საერთო ევროპულ მიდგომებს, სადაც ეს ტვირთი მოპასუხეს, ანუ სავარაუდო ცილისწამების გამავრცელებელს ეკისრება. მან უნდა დაამტკიცოს, რომ, რაც თქვა, სინამდვილეს შეესაბამება, რათა საქმე მის სასარგებლოდ გადაწყდეს. ჩემი აზრით, ადამიანის პატივისა და ღირსებისადმი ისეთი დამოკიდებულება, როგორსაც სიტყვის თავისუფლების შესახებ ქართული კანონი ამკვიდრებს, არ შეესაბამება არც საქართველოს კონსტიტუციას, რომელიც ადამიანის პატივსა და ღირსებას „ხელშეუვალ“ უფლებად აცხადებს. ამ მიზეზთა გამო, აუცილებლად მიმაჩნია, რომ მტკიცების ტვირთი ცილისწამების საქმეებში მოსარჩელიდან მოპასუხეზე გადანაცვლდეს“.**





კანონი, რომელიც ბოროტებას შობს და მერე ამ ბოროტებას იცავს, თავად არის ბოროტება.

ცილისმწამებლები ამ ბოროტი კანონის პირმშონი არიან და სანამ ეს კანონი ამ სახით და ამ ფორმით იარსებებს, ისინიც მუდმივად და მარად იარსებებენ, რომ ეს ქვეყანა საბოლოოდ აქციონ უზნეობით აყროლებულ ჭაობად.

ამიტომაც მოვუწოდებ ყველას — საზოგადოებას, ხელისუფლებას, საქართველოს პარლამენტს — შევცვალოთ ეს კანონი, გავათავისუფლოთ ადამიანები, გავათავისუფლოთ ქართული სახელმწიფო მუდმივი ფსიქოლოგიური ტერორის და შანტაჟისგან.



# „ყაზტრანსგაზი“ – ჩვენს სახლებში ჩუმად შემოპარული მკვლელი?

## რატომ მიყიდეს „ყაზტრანსგაზი“ სააკაშვილის ბიზნესმენებად წოდებულ პირებს, რომელთა სახელებსაც არაერთი საეჭვო საქმეები უკავშირდება!

20 იანვარს დიდ დიღომში დატრიალებული ტრაგედიის დროს გარდაცვლილები მიწას მიაბარეს. დაკრძალვას წინ სამოქალაქო პანაშვიდი უძღოდა, რომელსაც საქართველოს კათალიკოს პატრიარქი და დედაქალაქის მერი დაესწრნენ.

მოგვიანებით გაირკვა, რომ აფეთქებული კორპუსის ბინადრები გაზის სუნს მთელი დღის მანძილზე გრძნობდნენ და ვითარების გასარკვევად, ადგილზე „ყაზტრანსგაზის“ თანამშრომლებიც გამოიძახეს. ადგილზე მისულმა სპეციალისტებმა საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს, კორუსის მაცხოვრებლები დაამშვიდეს და წავიდნენ. აფეთქება მათი წასვლიდან რამდენიმე საათის შემდეგ მოხდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ თანამშრომლები თორნიკე ტატიშვილი და ვაზელ მამადიანი ტრაგედიის მეორე დღეს დააკავა. „ყაზტრანსგაზის“ თანამშრომლებს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით აქვთ წაყენებული, რაც სამსახურეობრივ გულგრილობას გულისხმობს.



ავთანდილის ქუჩაზე მომხდარ ტრაგედიამდე ორი თვით ადრე გაზის გაჟონვის შედეგად მომხდარ აფეთქებას ფონიჭალაში მცხოვრები დედა-შვილის სიცოცხლე შეეწირა, სამმა ადამიანმა მძიმე დამწვრობა მიიღო.

ორი თვის შემდეგაც დაუდგენელია, რა გახდა ფონიჭალაში ბუნებრივი აირის გაჟონვის მიზეზი. თუ ამ სფეროში გათვითცნობიერებული ადამიანების ნათქვამს ვენდობით, ქვეყანაში გაზმომარაგების სისტემა კანონისა და რეგულაციების მიღმაა, შესაბამისად, არავინ არის უსაფრთხო გაზმომარაგებაზე პასუხისმგებელი და აფეთქების რისკის ქვეშ, ფაქტობრივად, მთელი თბილისი დგას.

დედაქალაქში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად 2016 წელს 29 ადამიანი გარდაიცვალა, 2017 წელს 27, 2018 წელს კი 30. არავინ იცის, რამდენი ადამიანი დგას სიკვდილის რიგში და ვინ იქნება შემდეგი..

„კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში “ყაზტრანსგაზ თბილისის” დირექტორის ყოფილი პირველი მოადგილე სოსო სიმონიშვილი გაზგაყვანილობის ქსელის სიძველეზე საუბრობს და საგანგაშო პროგნოზს აკეთებს. მისი თქმით, ასეთი ძველი და კატასტროფულ მდგომარეობაში მყოფი მიწისქვეშა გაზგაყვანილობის ქსელის მოქმედება, როგორიც ჩვენ გვაქვს, ყველა ქვეყანაში არსებული ნორმატივების მიხედვით კატეგორიულად აკრძალულია, შესაბამისად, გაჟონვის შედეგად აფეთქებების რიცხვი გაიზრდება.

„თავდაცვის სამინისტროსთან ავტოგასამართი სადგური დგას გაზის მილზე, რომლიდანაც ჟონავს. თამარ მეფის ხიდთან, მარჯვენა სანაპიროზე, აკადემქალაქის მიმდებარე ესტაკადამდე, მთელი მონაკვეთის ქვეშ მიწისქვეშა გაზგაყვანილობის მილებიდან ჟონავს ბუნებრივი აირი. ქალაქი ნაღმზე ზის. ასე რომ, პრობლემის მოგვარება კანონმდებლობიდან უნდა დავიწყოთ. უნდა გაჩნდეს კანონით განსაზღვრული ვალდებულება, რომ კომპანიებმა მოსახლეობისთვის უზრუნველყონ არა მხოლოდ უწყვეტი, არამედ უსაფრთხო გაზმომარაგება, წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავ გვექნება აფეთქებები, მსხვერპლიც და კვლავაც არავის მოეთხოვება პასუხი“.

ტრაგედიის გამომწვევ მიზეზებზე საუბრობს სოციალური ქსელის მომხმარებელი გიორგი ქადაგიშვილი:

ბუნებრივ აირს უნდა ქონდეს სპეციფიკური სუნი და აქვს კიდეც ყველგან გარდა საქართველოსი, საქართველოში კი იმიტომ არ აქვს, რომ ნივთიერება რომელიც აირს სუნს აძლევს, ძვირია და აღარ უმატებენ რა, აი ამ “ხალტურიდან” ამონაგები თანხა კი იმის ჯიბეში ილექება, ვინც წესით ფეხებით უნდა დაიკიდოს საჯაროდ, როგორც მაგ დანაშაულში ერთ-ერთი მთავარი ბრალეული პირი.

მრავალჭირნახულმა ქართველებმა უკვე შესანიშნავად ვიცით, რომ ბუნებრივ აირს სპეციფიკურ სუნს ოდორანტი ანიჭებს და მისი რაოდენობა გაზის უსაფრთხო მოხმარებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ისიც ვიცით, რომ ოდორანტის მკვეთრი სუნი საგანგაშო სიგნალია, რომ ჰაერში აირის სახიფათო კონცენტრაცია დაგროვდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ოდორანტი ძვირადღირებული ნივთიერება გახლავთ, ხოლო მოგებაზე ორიენტირებულ კომპანიებს მოსახლეობის უსაფრთხოებაზე მეტად შემოსავლის მიღება ადარდებთ. ოდორანტი რომ ნორმის ფარგლებში ყოფილიყო, შესაძლოა, ავთანდილის 8 მცხოვრებ ადამიანებს განგაში უფრო ადრე აეტეხათ და ტრაგედიის მასშტაბები ნაკლები ყოფილიყო.

ბუნებრივია აირის გაჟონვის გახშირებული შემთხვევების გამო, დღეს სულ უფრო მეტი ადამიანი ამბობს, რომ სააკაშვილის ხელისუფლების დროს განადგურებული ტრამვაი-ტროლეიბუსების პარკის მსგავსად, რომლის აღდგენას ათწლეულები არ ეყოფა, შეცდომა იყო გაცილებით უსაფრთხო გათბობის სისტემის გაუქმება, რომელიც მხოლოდ ერთ კორპუსს კი არა, მთელ რაიონს ყოფნიდა.

როგორც ხშირად ხდება, თბილისში დატრიალებული ტრაგედია პოლიტიკური კინკლაობისა და ურთიერთბრალდებების საფუძველი გახდა.

როგორც ირკვევა, „ყაზტრანსგაზ თბილისის“ მესაკუთრე მართლაც ოფშორში — მარშალის კუნძულებზე დარეგისტრირებული კომპანია „ვოლთბეი“ გახლავთ, ხოლო მისი მფლობელის შესახებ ინფორმაცია ვერსიების და ვარაუდების დონეზე ვრცელდება. ერთ-ერთის თანახმად, ყაზახურმა მხარემ კომპანია გაყიდა და ის დავით ბეჟუაშვილმა და მისმა პარტნიორმა ხვიჩა მაქაცარიამ იყიდეს. თავისთავად, ის ამბავი, რომ დედაქალაქის სტრატეგიული კომპანია ოფშორში დარეგისტრირებულ, ბუნდოვან კომპანიას გადაეცა, უამრავ კითხვას აჩენს. არც ის გახლავთ საიდუმლო, რომ ბეჟუაშვილის კომპანიები უსაფრთხოების დაცვის მაღალი სტანდარტებით არ გამოირჩევიან, რასაც ტყიბულის შახტებში ათობით ადამიანის დაღუპვაც ადასტურებს. რაც შეეხება ხვიჩა მაქაცარიას, გავრცელებული ინფორმაციით, ის შარანგიების ბიზნეს პარტნიორია და სააკაშვილთან დაახლოვებულ ბიზნესმენად ითვლება. რა კავშირი აქვს თბილისის მერს ხვიჩა მაქაცარიასთან და რატომ მოიაზრებენ კალაძეს „ყაზტრანსგაზის“ რეალურ მფლობელად, ამასთან დაკავშირებით, „აუდიტორია 115“-ის ყოფილი წევრი ირაკლი კუპრაძე სოციალურ ქსელში წერს:





„ხვიჩა მაქაცარიაზე აღძრულია არა ერთი სისხლის სამართლის საქმე. 2017 წელს მაქაცარია აირჩიეს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტად. მაქაცარიას რამდენჯერმე უჩივლეს ზეწოლის, ქონების წართმევისა და უკანონოდ მოგებული ტენდერების გამო. ყველაზე გახმაურებული საქმეებია კავკასუს ონლაინი-ს საქმე, სადაც კავკასუსის ყოფილი მფლობელი, მამია სანადირაძე ადანაშაულებს მაქაცარიას და ლევან ყარამანიშვილს,, კავკასუს ონლაინის” წართმევაში. მამია სანადრიაძე ღიად ადანაშაულებს პროკურატურას საქმის გაწელვაში და კახა კალაძეს ხვიჩა მაქაცარიას მფარველობაში.,, სითი პარკის” გაყვანის შემდეგ, აქტიურად განიხილებოდა,, სითი პარკის” ხვიჩა მაქაცარიას კომპანიით ჩანაცვლების საკითხი, რაც მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ასევე კალაძის ლობირებით ხდებოდა. ხვიჩა მაქაცარიაა სწორედ ის ბიზნესმენი, რომელსაც კომპანია ბადაგონის წართმევის მცდელობაში და ზეწოლაში დებენ ბრალს. მაქაცარია წილს ფლობს შემდეგ კომპანიებში: კავკასუს ონლაინი, საქართველოს ეროვნული ლატარეის კომპანია – აღნიშნულ კომპანიას, საქართველოში ლატარეის ჩატარების უფლება 2027 წლამდე აქვს ტენდერით მოპოვებული, ჯორჯიან სერვის ნეთვორკი (GSN) — სალარო აპარატების დისტრიბუტორი კომპანია, ბილაინი, მობიტელი,,, თბილისის მიკროავტობუსი“, ტოტალიზატორი, „ევროპაბეთი“, რესტორნების ქსელი და ლუდსახარში „მირზაანი“და ა.შ. ზემოთქმულის გათვალისწინებით, დიდ დიღომში მომხდარი ტრაგედიის მასშტაბების მიუხედავად, ირაკლი კუპრაძე დარწმუნებულია, რომ „ყაზტრანსგაზი“ პასუხისმგებლობას თავს დააღწევს.

დიდ დიღომში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევის დროს გარდაცვილთა დაკრძალვის მეორე დღეს, 21 იანვარს თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში ბუნებრივი აირით მოწამვლის შედეგად ორი ადამიანი გარდაიცვალა. წინასწარი ინფორმაციით, უბედური შემთხვევა არასწორად დამონტაჟებულმა გამათბობელმა გამოიწვია. ვინ იქნება სასიკვდილო აირის მორიგი მსხვერპლი არავინ იცის. ქალაქში გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა გრძელდება..

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# ვინ დაარისხებს განგაშის ზარებს?



**ფიქრია ყაზაიშვილი:**

მე ხუთწევრიანი ოჯახის უფლებამოსილი წევრი ვარ, უფრო სწორად, ოჯახის უფროსი... კიდევ უფრო სწორად მე ვარ ოთხი არასრულწლოვანი შვილის დედა... კიდევ უფრო სწორად... თუმცა მეტი კონკრეტიკა იმდენად შორს წაგვიყვანს, რომ ქალთა ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარშიც აღმოვჩნდებით და ჩემი და ჩემი შვილების არსებობაც ჩემი მეგობრების კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული, ამაზე სხვა დროს, სტატიის სხვა ფორმატში და სხვა რუბრიკაში...

ახლა კი იმ მწვავე პრობლემაზე მინდა გესაუბროთ, უკვე დიდი ხანია რომ დგას საქართველოში, ეს არის მრავალშვილიანი ოჯახების პრობლემები და ამავდროულად შობადობის კატასტროფული კლება, რომელსაც პატრიარქის კურთხევამაც ვერ უშველა, რადგან, მოგეხსენებათ ჩვილ ბავშვს სულიერი საზრდო კუჭს ვერ ამოუვსებს, ამიტომ კურთხევასთან ერთად სხვა ბერკეტების ამოქმედებაც არის საჭირო. მაგრამ, მოდით მივყვეთ სტატისტიკას, რომ უფრო უკეთ გავიგოთ, ნამდვილად ვმრავლდებით და ვბედნიერდებით, თუ ვცოტავდებით და ვუბედურდებით?

აქაც დილემის წინაშე ვართ! რომელ სტატისტიკურ მონაცემს ვენდოთ? საქსტატს? არასამთავრობოს? გაეროს?

მე თუ მკითხავთ საქართველოდან გაქცეული ქართველების დიდ ნაწილს უნდა ვკითხოთ, შიმშილის ზღვარზე მყოფ მრავალშვილიან ოჯახებს უნდა ვკითხოთ. ყველა მხრიდან (გორი, ბათუმი, დავითგარეჯი, წითელი ხიდი) შევიწროებულ ქართულ ოჯახებს უნდა ვკითხოთ – ვმრავლდებით? ვლაღობთ? არ გვეშინია შვილების გაჩენის? თუ ვიკეტებთ აბორტებს? ვსვამთ მედიკამენტებს რომ მუცელში მყოფი ემბრიონები მოვკლათ? ავკაფოთ, დავანაკუწოთ? შვილოსნობის მადლი წყევლად ვაქციოთ?

მოდით ოფიციალურ მონაცემებს გადავხედოთ და რომელიღაც საუკუნეში რომ ათი მილიონი ვიყავით, ამას ჩავუაროთ და ჩემი ამქვეყნად მოვლინების წლიდან დავიწყოთ გარკვევა, ვმრავლდებით თუ არა!

მაშ ასე:

- 1979 წელი – 5 001 800
- 2002 წელი – 4 601 500
- 2014 წელი – 3 787 000

1992 წლიდან იწყება შობადობის შესამჩნევი კლება (ეს ის ავადსახსენებელი „ოთხმოცდაათიანებია“, ერთმანეთს რომ დავსდევდით მოსაკლავად, უბანი უბანს რომ ჩეხდა და კაფავდა, სახლებში ვტიროდით, ქუჩებში ვხოცავდით, ომებში ვმარადიორობდით, გაყიდულ მიწებს გულანთებულ ბიჭებს ვწირავდით ზვარაკად).

ჰოდა ამ „ოთხმოცდაათიანებმა“ ქნა ის, რაც მერე მოხდა, მასიური გასვლა, არა, გავარდნა საქართველოდან!

თითქოს, დავუსხლტით ეპოქის ამ ბნელ ეპიზოდს, თითქოს გავნათდით, გავბრწინდით, შევიღებეთ, ფასადები მოვილამაზეთ, შადრევნები ავარაკრაკეთ, საკურორტო ადგილები შევქმენით, ინფრასტრუქტურა მოვაწესრიგეთ, უამრავი ტურისტი მოვიზიდეთ... მაგრამ ვაი რომ ამანაც არ გამოიღო შედეგი, და მაინც კატასტროფულ კლებაში წავედით. ახლა ვინმე უფრო მოწადინებული თქვენგან, ალბათ მკითხავს, რატომო?

იმიტომ, რომ გაბერილმა კომუნალურმა გადასახადებმა, საწვავმა, პურმა, შაქარმა სამოსმა, მიწამ სახლმა, წყალმა და ყველაფერმა წელში გაგვწყვიტა და შევჩერებივართ ასე, ირანელებით არაბებით, თურქებით ინდოელებით, ჩინელებით და ათასი ჯურის ადამიანით გადავსებულ ჩვენს მიწა წყალს ... ისინი კიდევ ენებს აწკლაპუნებენ, ისე ეგემრიელებათ და ელამაზებათ ყველაფერი...

ჩვენ გავრბივართ
ისინი შემორბიან

ყიდულობენ სახლებს, კორპუსებს ჰექტრობით მიწებს, ჩემი ხმა კი დარწმუნებული ვარ არის “ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა” უდაბნო კი... არა მარტო მქადაგებლებს, არავის არ წყალობს, თვით საკუთარ თავსაც კი და სწორედ ამიტომ გამოიყურება ისე, როგორც გამოიყურება......

თქვენ წაიკითხავთ ამ სიტყვებს, მაგრამ ისევ არ იტყვით არაფერს! თვითგადარჩენის ბრძოლაში დაღლილები კიდევ ერთ დღეს გადააგორებთ და ასე წავალთ თვითგანადგურებისკენ... ხედავთ, ამ სენტიმენტალურმა გადახვევებმა სანამდე მიმიყვანეს? უიმედობისკენ!

მაშ ასე, 2017 წლის იანვარში ხუთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი იყო 331 ლარი ანუ თვეში 60 ლარი ერთი ადამიანის საარსებოდ, რა შედის არსებობაში? კვება და კომუნალურები! თავს ვანებებ ყველაფერ დანარჩენს, სამოსს, ჰიგიენის ნივთებს, და იმ ადამიანურ სურვილს, რომ ხანდახან შეიძლება რაიმე ნუგბარი მოგინდეს!

ჩემი მაგალითით მოგახსენებთ, რამდენად შეესაბამება ეს თანხა საარსებო მინიმუმს (მის გამომყვანს რომ შეესაბამება სიტყვა „არაადამიანი“, ეს ცხადზე უცხადესია).

ბატონებო და ქალბატონებო, მინდა გულისტკივილით და აღშფოთებით გაუწყოთ, რომ საარსებო მინიმუმის გამომთვლელ, გამომყვან ხელისმომწერებს, დამთანხმებლებსა და ბეჭდისდამრტყმელებს ხელი, თვალი და პირველ რიგში გული აქვთ ამოსაცლელი, საკუთარ ქვეყანაში ასეთ პირობებს რომ სთავაზობენ ქართველებს!

სხვადასხვა ტელეარხები ხშირად აჩვენებენ ხოლმე მრავალშვილიან ოჯახებს – ზოგი მიწურში ცხოვრობს, ზოგი ფანერით და კარდონით შეკოწიწებულ ფარდულში, ზოგი ბოსელში.

თქვენ ამ ბავშვების თვალები უნდა ნახოთ, ნაღველით და დარდით სავსე თვალები.

თქვენ ამ ბავშვების მშობლების საუბარს უნდა მოუსმინოთ, შველას რომ ითხოვენ სასოწარკვეთილი ხმით, მშველელი კი არავინ ჩანს – არც მთავრობა, არც ეკლესია, არც ბიზნესი, არც ფონდები.

თანადგომის და თანაგრძნობის ნაცვლად საზოგადოების მხრიდანაც ხშირად გაიგონებთ ამ ოჯახების მისამართით აგრესიით და გაღიზიანებით გაჯერებულ რეპლიკას – თუ გაზრდის და რჩენის თავი არ ჰქონდათ, რას ყრიდნენ ამდენ ბავშვებსო?

არადა, ეს ქალბატონები, 4, 5, 6 შვილს რომ უზრდიან საქართველოს, ყველაზე პატივსსაცემი, ყველაზე პატრიოტი ადამიანები არიან და ყველაზე დიდ საქმეს აკეთებენ თავიანთი ქვეყნისთვის.

ეს გულისმომკვლელი, სულით ხორცამდე შემაძრწუნებელი ტელესიუჟეტები ერთგვარი გაფრთხილებაა – თუ ბევრ ბავშვს გააჩენ, შენც ასე დაგემართება, შენც ასე გაუბედურდები და გასაცოდავდები!

ეს იმ დროს, როცა მომაკვდავ ერთა სიაში ვწერივართ და ქართული სახელმწიფო ყველაფერს უნდა აკეთებდეს იმისთვის, რომ არ გავქრეთ, არ მოვკვდეთ, როგორც ერი.

საქართველო აქამდე მრავალშვილიანმა ოჯახებმა მოიტანეს...

ხომ გახსოვთ, „ცხრა ძე ჰყავდა, ცხრა ვაჟკაცი დედას, შეკაზმული ხმლით და მუზარადით“.

ახლა ამ დედას ცხრის ნაცვლად ერთი ძე ჰყავს და ისიც გათხოვებაზე ოცნებობს...

ვიღაც უჩინარი და უხილავი მტერი გადაშენებას გვიპირებს და ამას ისე მზაკვრულად, ისეთი ვერაგული ხერხებით ცდილობს, რომ ვერც ვხვდებით, ვერც ვაცნობიერებთ, რა უბედურება გვჭირს.

განგაშის ზარებია შემოსაკრელი, თორემ, თუ ასე გაგრძელდა, საქართველოსგან სახელის მეტი არაფერი დარჩება.

## ...და საქართველოც გაგვექცევა საქართველოდან

თუ იქროლებენ კვლავ ასეთი მკაცრი ქარები,
კვლავ უპატრონოდ თუ დარჩება ჩვენი ტაძარი,
გაგვექცევიან ჩვენ აქედან ჩვენი ქალები
და სამუდამოდ მიეყრება კერას ნაცარი.
მათხოვრობისთვის განწირულნი, ნაშიმშილევნი,
დავრდომილები მიმოდიან ირგვლივ ქვითინით –
გაგვექცევიან ჩვენ აქედან ჩვენი შვილები,
ჩვენ გაგვექცევა სიცოცხლე და მოვა სიკვდილი.
ცად აღვლენილი სავედრებლად მტკივა ხელები,
დახაზულია ცის გუმბათი სისხლის ღარებით,
გაგვექცევიან ტყეები და მდინარეები,
გაგვექცევიან ახოები, ზვრები, ყანები.
გაგვექცევიან მეზვრენი და მევენახენი,
გაგვექცევიან მეგუთნენი, დურგალ-ხარატნი
და რაც აშენდა საუკუნოდ ერის სახელით,
თავს დაგვემხობა შინაური მტრების ღალატით.
თუ იქროლებენ კვლავ ასეთი მკაცრი ქარები,
თუ არ მოვიდა გმირი – ერი ვისაც ელოდა,
გაგვექცევიან ჩვენ აქედან ჩვენი ქალები
და საქართველოც გაგვექცევა საქართველოდან.

ვახტანგ ხარჩილავა. 1997 წ.





# მიხუინას ახალი ხუინვეიბინი ანუ აფერისტი ტიპი „კაზანტიპიდან“

2012 წლის ზაფხულია. მიხო სააკაშვილის ხელისუფლება ბოლო დღეებს ითვლის. თუმცა თავად მიხო პრეზიდენტად რჩება, "ნაცმოძრაობის" გადაშენების შემდეგ მას ერთი წელიწადი კიდევ აქვს. ნიუიორკში, გაეროს შტაბბინაში, თუ არ ვცდები, გლობალური დათბობის საკითხზე სხდომაა, რომელსაც არა მხოლოდ წამყვანი სახელმწიფოების ლიდერები, არაწამყვანი ქვეყნების მესვეურებიც ესწრებიან. რასაკვირველია, ამ ღონისძიებას არც ბატონი სააკაშვილი "მაზავს" და ნიუიორკში ჩადის. გაეროს შტაბბინასთან ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები ტრანსპარანტებით ხვდებიან, სადაც გარკვევით უწერიათ: "მიშა, შენი დედა მოვტ…ან"! ეს ტრანსპარანტი ხელში ამაყად უჭირავს საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის მომავალ თავმჯდომარეს, გიორგი სიგუას, რომელიც იმხანად აშშ-ის რომელიღაც შტატში ცხოვრობდა და სააკაშვილს ზეპირსიტყვიერადაც ლანძღავდა. აღნიშნული ფაქტი საკმარისი აღმოჩნდა, რომ სიგუას პერსონით ჟურნალისტები დავინტერესებულიყავით. მეც მქონდა მასთან ხშირი მიმოწერა. ამერიკაში მცხოვრები ემიგრანტები კი მაფრთხილებდნენ, ეგ პირწავარდნილი აფერისტია, ნუ ენდობიო, მაგრამ ბოლომდე მაინც არ დავიჯერე და რაკი მიხოს ასე მოექცა, ლამის გმირად შევრაცხე. სიგუა "ფეისბუქის" საშუალებით მწერდა, თუ როგორ ებრძოდა მას "ქართულ ოცნებაში" თინა ხიდაშელი, როგორ იბრალებდა მის გაკეთებულ საქმეებს და მთხოვდა, როგორმე ბიძინა ივანიშვილამდე მიმეტანა რეალური ამბავი. აი, აქ კი მართლა დავფიქრდი, არც არაფერი მიმიტანია მომავალ პრემიერ-მინისტრამდე და არც არაფერი გამომიტანია. თუმცა პრესაში კაი გვარიანად ვაპიარებდი.

გადის დრო, გადის რამდენიმე თვე, ტარდება არჩევნები, სააკაშვილი მარცხდება, გიორგი სიგუა ბრუნდება საქართველოში, მიდის "ქართული ოცნების" ოფისში და ითხოვს სამსახურს, ანუ "ღვაწლის" დაფასებას. ვიღაც ჭკვიანი ხვდება, რომ მართლა აფერისტთან აქვს საქმე და პირდაპირ ეკითხება, ამერიკაში როდის ბრუნდებიო? ეს ბრაზდება, ქოშებს უკუღმა ისვრის, რას ჰქვია, ვბრუნდები, უკან მისტუმრებთო?! მირეკავს მე, საქმე მაქვს, სასწრაფოდ უნდა გნახოო. ვსვდებით რედაქციაში. ნესტოებიდან ცეცხლს აფრქვევს, უკნიდან ბოლი გასდის — წარმოგიდგენია, ეს რა მითხრეს და რა მაკადრესო? არა, ვისაა, რომ ჰკადრებენ და რასაა, რომ ჰკადრებენ, ამათ ხო არაფერი ეშლებათო?! დავამშვიდე, ცოტა "ზაჟიგანია" გავუსწორე, ინტერვიუ ჩავწერე და გავუშვი. ამ შეხვედრას ესწრებოდა აშშ-ში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი ანტონ ჯღამაძე, სრულიად ჯანმრთელი და საღად მოაზროვნე ადამიანი.

გადის დაახლოებით ერთი თვე. გიორგი სიგუა "იჩითება" ერთ-ერთი პარლამენტარის თანაშემწედ. ვფიქრობ, ეს გახდა მისთვის ტრამპლინი, რათა ცოტა ხანში გამხდარიყო ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე. როგორც კი სიგუა მოჯდა თანამდებობაზე, ეგრევე დაიწყო ანაკლიაში "კაზანტიპის" მოწყობა, რომელიც უმალვე გადაიქცა ქართული ტიპის სოდომ-გომორად და ნარკო-ჯოჯოხეთად, სადაც დაიღუპა არაერთი ახალგაზრდა. რაც მთავარია, ამ თემასთან დაკავშირებით სიგუამ საეჭვოდ უმატა "რუსთავი 2"-ის ეთერში სირბილს. ხან ვანოსთან იჯდა და უკბილოდ ხუმრობდა, ხან კიდევ ჯულიეტოვიჩს აბარებდა აღსარებას. მივწერე, რაღაც საეჭვოდ დაიარები "ნაციონალებში"-მეთქი. რავა, შენ უნდა გკითხო, სად ვიარო და ვისთან ვიმეგობროო? არა, არ უნდა მკითხო, 2012-ში რომ მეკითხებოდი, იმასაც ვნანობ, უბრალოდ გეუბნები, რაღაც არალამაზად დაიკვანწები "ნაციონალებში"-მეთქი. ამის შემდეგ "ფეისბუქში" დამბლოკა. ან კი რატომ არ უნდა დავებლოკე, ეს ხომ ქართული ადათი და წესია?!



გადის კიდევ რამდენიმე თვე, გიორგი სიგუას ტურიზმის დეპარტამენტიდან უშვებენ. ბუნებრივია, მკიდია. ის მთელი ძალებით იწყებს "კაზანტიპის" ხელახლა "აღორძინებას", გიორგი კვირიკაშვილის მთავრობა აფინანსებს მილიონნახევარი ლარით. მიდის ფულის კეთება, ჩნდება ეჭვი, რომ მთავრობის მიერ გამოყოფილი ფული იფლანგება. სიგუა ისევ დადის "რუსთავი 2"-ის ოფისში, იქიდან მოსთქვამს, რომ ამ ღონისძიების ორგანიზატორებმა იზარალეს, შემოსავალი არის ძალიან მცირე. ამავე დროს ისევ იღუპებიან ახალგაზრდები, ირანელები და ათასი ჯურის ავაზაკები თავისუფლად ჰყიდიან ნარკოტიკებს. იწყება გამოძიება, ეკონომიკის სამინისტროს ფინანსური განყოფილება ასევე იძიებს, თუ სად წავიდა მილიონნახევარი ლარი. თუმცა არაფერი, ერთ მშვენიერ დღეს სიგუა ქრება და ასევე ერთ მშვენიერ დღეს თავის "ფეისბუქგვერდზე" აქვეყნებს მიხო სააკაშვილთან გადაღებულ სურათს, ხოლო ამა წლის 15 იანვარს წერს ასეთ რამეს (სტილი დაცულია):



"ვაღიარებ, მეც ვიყავი მათ რიგებში ვინც სააკაშვილს პირსისხლიან დიქტატორად თვლიდა. ძუძუებს რომ აჭამდა ხალხს და ადამიანების ორგანოებით ვაჭრობდა. მეც მჯეროდა უფასო ფულის, ასი აგუგუნებული საწარმოსი და გასაოცარი დემოკრატიის. მჯეროდა რომ ქვეყანას ტირანისგან ვათავისუფლებდი და სათნო, კეთილი, დიდი დემოკრატი მომყავდა ქვეყნის სათავეში. ბედის ირონიით თუ კანონზომიერი ლოგიკურობით ბოლოსდაბოლოს მის გვერდით აღმოვჩნდი. ისიც ვნახე როგორ ცხოვრობს, იქცევა, აზროვნებს. ალბათ არიან ისეთები ვისაც სჯერა რომ პირსისხლიანი დიქტატორები, სერიული მკვლელები და მილიარდების ქურდები ველოსიპედებით, ტრამვაებით, მეტროთი, ტაქსით და ფეხით სრულიად მარტო გადაადგილდებიან მსოფლიოს ქალაქებში. ამერიკის და ევროპის ელიტა ოჯახურ დღესასწაულებზე პატიჟებს და მსოფლიოს უძველესი უნივერსიტეტები ლექციების წასაკითხად. ალბათ კი არა, არიან. ისიც სჯერათ რომ ფრანგი პენსიონერი მართლა პრეზიდენტია, ბიძინას "უნიცეფის"კვლევებს უმალავენ და ქურდები მარტო კვირიკაშვილები, ქუმსიშვილები და ალავიძეები არიან, მათ ისიც სჯერათ რომ გასაოცარი მეოთხე წელი შვიდი წლის მერე მაინც დადგება და გაღატაკებას, დაჩანაკებას და დამცირებას ძალიან მალე დააღწევენ თავს. სჯერათ და სჯეროდეთ. მე კი იმის მჯერა რომ ქართველებს მართლა უნიკალური თვისება გვაქვს. ვინმე ბუმბერაზი და ძალიან დიდი თუ გამოგვერია, ერთ მუშტად უნდა შევიკრათ მის წინააღმდეგ, დავკორტნოთ, გავაქციოთ და ვსდიოთ. იმისიც მჯერა რომ მე ჩემი ათას ჭირვარამგავლილი ცხოვრების მანძილზე ასეთი გენიალური, უწყინარი, ნიჭიერი, უბრალო, წესიერი და პატრიოტი ქართველი ჯერ არ შემხვედრია. იმისიც მჯერა რომ ის აუცილებლად უნდა დაბრუნდეს თავის სამშობლოში, ის ქურდებს ხელიდან უნდა გამოგლიჯოს და ქვეყნის განვითარების რელსებზე დაბრუნებაში თავისი წვლილი შეიტანოს. ასეც იქნება. ძალიან მალე ჩვენ, ათასობით ქართველი მასთან ერთად სახლში ჩამოვალთ, ბოროტებას წავლეკავთ, სამშობლოს გამოვიხსნით და ძალიან მაგარ სახელმწიფოს ავაშენებთ. ვისაც ყველა ზემონათქვამზე ელლიცინება, მოკრძალებით შევახსენებ, რომ მე გიორგი სიგუა ვარ. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, დასახული მიზნისთვის ვერ მიმეღწიოს. რამე არ გამომსვლოდეს. იმიტომ რომ ჩვენ ბევრი ვართ, იმიტომ რომ ჩვენს მხარეს სიმართლეა და გამარჯვებაც გარდაუვალია".

ხედავთ, როგორი დიდი წარმოდგენა აქვს, ამ ქინძისთავს, საკუთარ თავზე? არ არსებობს, რამე დამესახოს მიზნად და არ განმეხორციელებინოსო, ჩვენ მალე ჩამოვალთ და ავაშენებთ ძალიან მაგარ სახელმწიფოსო. მგონი არ მეშლება, თუ ეს ტექსტი მიხოს დაწერილი არ იყოს, დამსაჯეთ, ცხენის კუდზე გამომაბით. არადა, ეს ის სიგუაა, 2012-ში აშშ-ში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები საცემრად რომ დასდევდნენ, საარჩევნო უბნებიდან ფული "მოტეხაო", იქიდან გამოასწრო, ჩამოვიდა, არც თანაშემწედ ივარგა, არც ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარედ ივარგა და ვერც "კაზანტიპს" მოაბა თავი. ახლა კი ზის მიხოსთან და გვემუქრება, მალე ჩამოვალთ და მაგარ სახელმწიფოს ავაშენებთო. თქვენი აშენებული სახელმწიფო არ გაიშვა არსად, თქვე ქინძისთავებო, ორივე აქ ეყარეთ, ორივემ მაგრად იაფერისტეთ და კიდევ აბოლებთ საცოდავ ემიგრანტებს, არიქა, უჩვენოდ არაფერი ეშველება საქართველოსო.

რავი, აბა? კალაძემ კი დაიწყო მთაწმინდიდან გამოსაქანებელი ტრასის გაფართოება, მაგრამ დავიჯერო, ისე გააფართოებს, რომ ამათ ეყოთ? შეიძლება ეყოთ კიდევაც, უცხოეთის ქვეყნებიდან გამოსაქანებელი მიხუინებისას რას გაიგებ? როგორც მიხო და მისი ახალი "პადელნიკი" სიგუა იტყობინებიან თავიანთივე პირით, 20 იანვარს ნიუიორკში, ბრუკლინში, სასტუმრო "ნაციონალში" 14.00 საათზე იკრიბებიან, ხოლო 10 თებერვალს ლიეჟში. შემდეგ კი დაიგეგმება გამოქანების თარიღი.

ვაი, ამათ პატრონს!!!

**გელა ზედელაშვილი**

555 48 48 61

# ვინ თქვა, რომ „ტამიფლუ“ ღორის გრიპის სამკურნალო წამალია?



ვესაუბრებით მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ჰომეოპათიის აკადემიის პრეზიდენტს, ადამიანის ეკოლოგიის ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარეს **თინათინ თოფურიას**, რომელიც უკვე 20 წელია ბუნებრივი საშუალებებით გრიპის მკურნალობისა და პროფილაქტიკის ცნობილ პროგრამას — „ნუ გეშინია გრიპის“ ახორციელებს, რამაც მოსახლეობაში დიდი პოპულარობა და ნდობა მოიპოვა.

**— ქალბატონო თინა, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა გრიპი, თითქოს, უკვე მოიხადა, მაგრამ ბევრ მათგანს ვირუსი შეუბრუნდა. ზოგი ხველას ვერ იშორებს, რაც პერიოდულად თავს იჩენს, ზოგს სისუსტე და დაბალი სიცხეები დაუტოვა.**

— დიახ, ეს ვირუსი არჩევითად ბრონქებსა და ფილტვებს აზიანებს. ამიტომაც, ამ ტიპის გრიპის გადატანის მერე დიდხანს რჩება ხველა, ზოგჯერ, სუბფებრილიტეტიც. ეს ხდება, განსაკუთრებით, ბავშვებში. პრაქტიკულად, ამ ვირუსს არ შველის არც მრავალფეროვანი ხველების წამლები, რომლებიც ფართოდაა წარმოდგენილი ჩვენს ფარმაცევტულ ბაზარზე და არც ანტიბიოტეიკები. ზოგს ჰორმონებსაც უნიშნავენ, მაგრამ უშედეგოდ. წელს ეს პრობლემა გაცილებით მეტ ბავშვს აქვს, ვიდრე წინა წლებში.

**— როგორ მოვიქცეთ თუ გრიპის ვირუსი შეგვეყარა?**

— ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანია ავადმყოფობის სწორად მართვა. პირველ რიგში, არ უნდა ვებრძოლოთ სიცხეს. მინდა შეგახსენიოთ: სიცხე ეს არის ორგანიზმის რეაქცია ინფექციურ აგენტზე, რომელიც მიგვანიშნებს, რომ იმუნური სისტემა დაავადებას ებრძვის. სიცხის ხელოვნურად სწრაფი დაგდება გამოჯანმრთელებას არ ნიშნავს. პირიქით, ასე ჩვენ იმუნურ სისტემას ვთიშავთ და მას დაავადებასთან ბრძოლაში ხელს ვუშლით. რამოდენიმე საათში სიცხე ისევ აიწევს, 2–3 დღეში თავისით დავა ნორმამდე ან ნორმის ქვევით. მერე კი იწყება გაუთავებელი ჩივილები: სისუსტე, ხველა, ანგინა, ყურის ანთება, სახსრების ტკივილი და სხვა. ეს გართულებები ორგანიზმში დიდხანს რჩება და ათასგვარი ქრონიკული დაავადების ფორმას იღებს, რაც „ეფექტური” მკურნალობის შედეგია.

**— გამოდის, სიცხის დამწევი წამლები არ უნდა გამოვიყენოთ?**

— მხოლოდ მაშინ თუ სიცხე 39,5-ზე ზევით ადის. გამონაკლისია, კრუნჩხვისადმი მიდრეკილნი და ძალიან თეთრი ბავშვები. მათ შეიძლება მისცეთ სიცხის დამწევი უფრო დაბალი მაჩვენებლების დროსაც. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, სანამ წამლის მიცემაზე ვიფიქრებთ, უნდა ვეცადოთ სიცხის დარეგულირებას ბუნებრივი, კარგად გამოცდილი საშუალებებით, კერძოდ, ოფლის მომდენი სასმელებით: ჩაი ჟოლოს მურაბით, ან გამხმარი ჟოლოთი; ცაცხვის ყვავილების ჩაი; ასევე, ჩაი ღოღნაშოს მურაბით, რომელსაც ძლიერი ანტივირუსული მოქმედება გააჩნია. ეფექტურია, ასევე, ფეხების დათბილვა ცხელი აბაზანებით, რომელშიც უნდა გახსნათ მდოგვი. ამ საშუალებებით ხდება სიცხის ნელ-ნელა დაწევა, იმდენად, რომ ის არ იყოს შემაწუხებელი პაციენტისთვის და ამავდროულად, საკმარისი იმისათვის, რომ იმუნიტეტმა იბრძოლოს.




**— ღორის გრიპს განსაკუთრებული სიმპტომები თუ ახასიათებს?**

— იგი ძალიან ვირულენტურიადა საკმაოდ ატიპიურად მიმდინარეობს. დაწყება უეცარი აქვს, პროდრომალური პერიოდის გარეშე — იწყება მაღალი სიცხით, რომელიც 40 გრადუსზე ზევითაც ადის და ცუდად ექვემდებარება სიცხის დამწევ საშუალებებს. ახასიათებს ძლიერი ინტოქსიკაციის სიმპტომები. ჩვენთან, ადრე გავრცელებული ღორის გრიპისგან, განსხვავდება. ახლა გავრცელებული ღორის გრიპი დიდხანს ტოვებს უჩვეულო სისუსტესს, თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი სიცხეებით მიმდინარე ვირუსი შარშანაც ხშირად გვხვდებოდა, მაგრამ მაშინ ღორის გრიპზე საუბარი არ ყოფილა.

**— იქნებ, ადამიანს სხვა ვირუსი აქვს, რატომ უნდა მიიღოს მაინცდამაინც ტამიფლუ?**

— ვინ თქვა რომ ტამიფლუ ღორის გრიპის სამკურნალო წამალია?! ეს არის ჩვეულებრივი ანტივირუსული პრეპარატი, რომელიც ყველა ვირუსზე ერთნაირად მოქმედებს ისევე როგორც სხვა ანრივირუსული პრეპარატები. უბრალოდ, ითვლება, რომ ის უფრო ძლიერია და გაიდლაინში არის შეტანილი.

**— ბევრი ტამიფლუს საპროფილაქტიკოდ იყენებს. ეს რამდენად სწორია?**

— რა თქმა უნდა, ტამიფლუს საპროფილაქტიკოდ გამოყენება არ შეიძლება! ეს არ გახლავთ საპროფილაქტიკო საშუალება. მისი გამოყენება მხოლოდ მას მერე უნდა დაიწყოს, როცა ვირუსი უკვე ორგანიზმშია, რადგან ის ებრძვის ვირუსს და მის გამრავლებას აფერხებს. ის რომ ტამიფლუს ძალიან დიდი რაოდენობა გაიყიდა, დარიგდა არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ამ წამალს სვამს. ბევრმა ყოველიშემთხვევისთვის შეიძინა და გული დაიმშვიდა.

**— ორსულებისთვის თუ შეიძლება ასეთი ძლიერი წამლის მიღება?**

— კარგი შეკითხვაა. აქამდე სულ აცხადებდნენ: ორსულებს და ბავშვებს ტამიფლუ არ მისცეთ, მათთვის რელანზა გვაქვს, რომელიც ნაკლებად ტოქსიკურიაო. ახლა კი, რატომღაც, რელანზას აღარავინ ახსენებს და ყველას ტამიფლუს უნიშნავენ. თუმცა, ტამიფლუს ინგლისურ და გერმანულ ინსტრუქციებში ორსულები ცალკეა გამოყოფილი და მათ ამ პრეპარატის მიღებას მხოლოდ მკურნალი ექიმის დანიშნულებით ურჩევენ. ვფიქრობ, ექიმებმა და ფარმაცევტებმა, რომლებიც ამ წამალს ნიშნავენ არც იციან რა წერია ტამიფლუს ინგლისურ და გერმანულ ინსტრუქციაში. მათ აქვთ გაიდლაინი და იმით ხელმძღვანელობენ.

**— თქვენი პროგრამის — „ნუ გეშინია გრიპის“ არსი რა არის?**

— იგი ძირითადად მიმართულია პრევენციაზე ჰომეოპათიური და ბუნებრივი საშუალებებით, ასევე, ვიძლევით კონკრეტულ რჩევებს თუ როგორ აიმაღლონ ადამიანებმა ჯანმრთელობის დონე. ჰომეოპათიას ეპიდემიებთან ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვს. მაგალითად, „ისპანკა“ გრიპის ეპიდემიის დროს კიდევ ერთხელ გამოჩნდა ჰომეოპათიური წამლების გასაოცარი ეფექტურობა. არსებული სტატისტიკიდან ყველაზე შთამბეჭდავია ამერიკელი ჰომეოპათების მონაცემები, რომელთაც სიკვდილიანობა 30%-დან 1,05%-მდე დაიყვანეს! ეს მონაცემები 100 000-ზე მეტი პაციენტის მკურნალობის შედეგებს მოიცავს. გრიპის პროფილაქტიკისა და მკურნალობის ჩემი პროგრამა — „ნუ გეშინია გრიპის“ სწორედ ამ მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას ეფუძნება. იგი მიმართულია როგორც იმუნიტეტის, ასევე, ზოგადად, ორგანიზმის გაძლიერებაზე.

**— რა აზრის ხართ გრიპის აცრებზე? რატომ არის აუცილებელი ყოველ წელს თავიდან აცრა და თუ იგი ასეთი ეფექტურია, რატომ არსებობს ეპიდემიების საშიშროება?**

— ევროპელ ექიმებს სულ უფრო ხშირად უხდებათ აცრებზე უარის თქმა, პაციენტების ალერგიული პრობლემების გამო. გრიპი არ განეკუთვნება სახადების რიცხვს. იგი მდგრად იმუნიტეტს არ ტოვებს, რადგან გრიპის ვირუსი ძალიან სწრაფად იცვლება. ამ პროცესს მუტაცია ეწოდება, რის მერეც საქმე გვაქვს, პრაქტიკულად, ვირუსის ახალ სახეობასთან და მასთან საბრძოლველად სხვა, ახალი ანტისხეულებია საჭირო. ეს პროცესი იმდენად სწრაფად ხდება, რომ მისგან დამცავი ვაქცინის შექმნას ვერ ასწრებენ. ანტისხეულები, რომლებიც ორგანიზმში გრიპის ვაქცინის შეყვანის საპასუხოდ წარმოიქმნება, ამ ახალ მუტირებულ ვირუსს მტრად ვერ აღიქვამენ, რადგან მის ცილას უკვე სხვა სტრუქტურა აქვს, რომელზეც ისინი კოდირებულნი არ არიან, რადგან ვირუსის მუტაციას გაცილებით ნაკლები დრო სჭირდება, ვიდრე მისი საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნას. წარმოიდგინეთ რამდენი ანტისხეული დაგროვდება ორგანიზმში და როგორ მოიმატებს ალერგიული ფონი ყოველ წელს გრიპის აცრა რომ იკეთო. თანაც ყოველ სეზონზე ერთი ვირუსი კი არ არის, არამედ ვირუსების დიდ ნაირსახეობასთან გვაქვს საქმე. რომელი ვირუსი იქნება წამყვანი ან როგორ მუტაციას განიიცდის იგი, ამის პროგნოზირება რთულია და ეს ძირითადად თეორიული გათვლებით ხდება. ასეთი ვაქცინის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დაემთხვევა ასეთი პროგნოზი იმ წლის რეალურ ეპიდემიოლოგიას. ამის ალბათობა საკმაოდ დაბალია. რამოდენიმე წლის წინ ის კანადელი და ფრანგი მეცნიერების დასკვნებით, პრაქტიკულად, ნულოვანიც კი არის. საუკეთესო შემთხვევაში კი 30%-ს არ აღემატება.

**— მავანი გვარწმუნებს, რომ გრიპის აცრა სრულიად უვნებელია და ყველამ უნდა გაიკეთოს. ეს რამდენად შეესაბამება სიმართლეს?**

— უვნებელი არაფერი არ არის. ყველაფერს აქვს თავისი უკუჩვენება და შეიძლება მას გარკვეული სირთულეები მოჰყვეს. ამიტომ, თუ აცრის





გაკეთებას გადაწყვეტთ, ისეთ დაწესებულებას მიმართეთ, სადაც აცრისთვის სპეციალური პირობებია. რამდენად ღირს გრიპისგან თავდასაცავად ორგანიზმში ვირუსების და ვაქცინაში შემავალი სხვა მრავალი კომპონენტის შეყვანა, თავად უნდა გადაწყვიტონ.

**— და ბოლოს რა ჰომეოპათიურ საშუალებებს შესთავაზებთ ჩვენს მკითხველს გრიპის სამკურნალოდ?**

— ნივრიანი ჩაი. დაჭყლეტილი ნივრის 2 კბილი ჩაყარეთ 1 ჭიქა მდუღარე ჩაიში. დაახურეთ მჭიდროდ თავი, შეფუთეთ და დააყენეთ 10–15 წუთი. თქვენ გაქვთ ახალი წამალი, რომელიც არ ტოვებს ნივრის სუნს და არ აზიანებს არც პირის, არც კუჭის ლორწოვანს. საპროფილაქტიკოდ დალიეთ დღეში 2ჯერ 1 ჭიქა, ცხლად. თუ თავს უკვე შეუძლოდ გრძნობთ, დალიეთ 4-ჯერ. ეს აძლიერებს იმუნიტეტს და არის ძლიერი ანტივირუსული საშუალება;

ძილის წინ ფეხის გულები ნივრის წვენით დაიზილეთ, ჩაიცვით შალის (ან ბამბის) წინდა და მთელი ღამით დაიტოვეთ. წინდაში ნიორი არ შეგყვეთ, თორემ შეიძლება ფუფქი წარმოიშვას. ტიბეტელები თვლიან, რომ ნიორს ფეხის გულებიდან ავადმყოფობა „გამოაქვს”. ბავშვებს ფეხის გულები დაუზილეთ წყლით განზავებული წვენით პროპორციით 3წილი წყალი 1 წილი ნივრის წვენი;

წვრილად დაჭერით ნივრის რამდენიმე კბილი, დადგით პატარა ლამბაქით ოთახის სხვადასხვა კუთხეში და საწოლთან. გაჭრილი ნივრიის კბილი 10 დღის განმავლობაში ინარჩუნებს ბაქტერიოციდულ ეფექტს. ალბათ, სწორედ ამით აიხსნება უძველესი ტრადიცია — ბავშვის საწოლთან ნივრის ჩამოკიდება „ავი სულების დასაფრთხობად“;

გრეიფრუტის, ფორთოხლისა და ლიმონის კანები დააწყვეთ ოთახში სხვადასხვა ადგილებში. ისინი გაამდიდრებენ თქვენი ოთახის ჰაერს ეთერზეთებით. ცვალეთ 5–7 დღეში;

ძალიან ეფექტურია მიხაკის ღეჭვა. ის გაგიქრობთ პირში უსიამოვნო სუნს და დაგიცავთ ინფექციისგან;

დინდგელის პატარა ნაჭერი ჩაიდეთ ლოყის უკან სახლიდან გასვლისას.

ასევე, ეფექტურია ლიმონის ან გრეიფრუტის კანის და ფიჭვის „კევის” ღეჭვა;

ავადმყოფობის დროს შეეცადეთ მიიღოთ მსუბუქი, ადვილად მოსანელებელი საკვები, მიეძალეთ ხილს, ასკილის ჩაის, მწვანილს, სალათის ფოთლებს, თევზს, კომპოტებს;

დიდი მნიშვნელობა აქვს ყელის სანაციას. ამისათვის კარგია სხვადასხვა მცენარეული ნაყენების გამოყენება სავლებების სახით;

თუ ყელი გაწუხებთ მონაცვლეობით გაიკეთეთ სოდიანი და ძმრიანი წყლის სავლებები;

თუ ყელში დისკომფორტს გრძნობთ, გაიხსენეთ ისეთი შესანიშნავი საშუალება როგორიცაა ტყლაპი, რომელიც გაწმენდს თქვენს ყელს და ნუშურაჯირკვლებს იქ დაბუდებული ბაქტერიებისაგან;

— ანგინის დროს ბავშვებს აჭამეთ უგემრიელესი მუსი: სოდა (დანის წვერზე) გახსენით 1 ჩაის კოვზ შინდის მურაბის წვენში;

ვირუსული ინტოქსიკაციის თავიდან ასაცილებლად მიიღეთ რაც შეიძლება მეტი სითხე, მინერალური წყალი, ნიახურის ნახარში, ლიმონის ცედრა, ასკილის ჩაი;

კიდევ ერთი კარგი ანტივირუსული საშუალებაა გახეხილი ჯანჯაფილი, რომელსაც ასხამთ ცხელ წყალს და ამატებთ ლიმონის ცედრას. დააყენეთ 20 წუთი და დაიწყეთ დილა ამ უგემრიელესი ელექსირით.

**ᲗᲐᲛᲐᲠ ᲨᲕᲔᲚᲘᲫᲔ**
555 23 28 24



# ᲡᲐᲓ ᲒᲐᲣᲩᲘᲜᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲡ ᲒᲚᲝᲕᲝᲑᲡ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲕᲐᲨᲐᲫᲔ?

ახალი წელიც გადავაგორეთ, შობაც, ძველით ახალი წელიც, ნათლისღებაც, მაგრამ გრიგოლა ვაშაძე, საქართველოსთვის თავის გაწირვას რომ აპირებდა, არსად გამოჩენილა, თამადადაც კი არსად მინახავს და წარმოიდგინეთ, ჩემთვის მოსალოცად სმს-იც კი არ გამოუგზავნია.

როგორც მატყობინებენ, გრიგოლ ვაშაძეს ღორის ვირუსი ამ სეზონზე ჯერ არ შემხვედრია. ზის თურმე და აქტიურად აჯამებს არჩევნებში დახარჯულ თანხებს — აკლებს, უმატებს და რა გამოდის? — ზარალში გადავარდნილაო, ამბობენ.

ერთი სიტყვით, როგორც ირკვევა და როგორც ინფორმირებული პირები მეუბნებიან, გრიგოლ ვაშაძეს პრეზიდენტობა ისევ და ისევ თავისი ჯიბის გასასქელებლად, საკუთარი ბიზნესის გასაძლიერებლად ჩაუფიქრებია.

მოგეხსენებათ, ვაშაძეს ბიზნესები რუსეთში აქვს, როგორც ღვინის ექსპორტ-იმპორტზე მუშაობს, ასევე ღვინის წარმოებაზე. ამის გარდა, სხვა ტიპის სავაჭრო ობიექტებიც ჰქონია რუსეთის ტერიტორიაზე.

საპრეზიდენტო არჩევნებში პირველსა და



მეორე ტურში ძირითადი თანხა მისი ბიზნესებიდან წამოსულა. ამ ბიზნესებს კი თურმე ძირითადად ხელმძღვანელობს ვაშაძის ვაჟი ნოდარ ვაშაძე, რომელსაც, როგორც მითხრეს, სულ ტყუილად დააბრალეს გონებაჩლუნგობა. მეტიც, ის საუკეთესო მენეჯერი ყოფილა და მამის კიდევ ერთი ავანტურისტული ნაბიჯი პოლიტიკაში, ძალიან არ მოსწონდა თურმე. მამა-შვილს შორის უკმაყოფილება ბოლო ხანებში სწორედ მამის პოლიტიკური ზრახვები ყოფილა, რომელმაც დიდძალი თანხები შეიწირა და ფაფუ, სულ ტყუილად. გრიგოლი მშრალზე დარჩა.

როდესაც „ნაცმოძრაობაში“ პრეზიდენტობის კანდიდატურა იხილებოდა, კობა ნაყოფიას და სხვა ბიზნესმენ ნაცებსაც შესთავაზეს თურმე — იყარეთ კენჭიო, მაგრამ ფულით გამძღარ ნაციონალებს ჩაუქირქილებიათ: ეგღა გვაკლია, წასულ მატარებელს გავეკიდოთ და მილიონები ვხარჯოთ ისეთ საქმეზე, რომელიც ან გამოვა ან არაო. გრიგოლ ვაშაძემ ქუთაისის მერობისთვის რომ 100 000 დოლარი დახარჯა თავისი ვაჟის ჯიბიდან, ვინმემ აუნაზღაურაო? — უკითხავთ.

მარტო ვაშაძეს უფიქრია რუსული ანდაზის თანახმად: ვინც არ რისკავს, შამპანურსაც არ სვამსო და ამ არჩევნებშიც თავდაყირა გადაშვებულა.

ყველას გვახსოვს, პირველი ტური რომ დამთავრდა, გრიგოლი გაფითრებული სახით წარსდგა ტელეკამერების წინ და გამოაცხადა: არავითარი ზეიმი, მეორე ტურისთვის აქტიურად ვემზადებითო.

მიშაც ჩაერია მაშინ ამ ამბავში და მოუწოდა თურმე ემიგრანტების შეხვედრებზე გაკეთებულ განცხადებებში შეძლებულ ნაციონალებს — ფინანსურად დაუჭირეთ მხარი ჩვენს კანდიდატს — გრიგოლ ვაშაძესო. ცხადია, მიშას თავისი ინტერესები ჰქონდა ვაშაძის გაპრეზიდენტებაში. თუ გრიგოლი პრეზიდენტი გახდებოდა, სააკაშვილს შეწყალებას ჰპირდებოდა, რაც თავისთავად ცხადია, საქართველოში მის უსაფრთხო ჩამოსვლას და აქ გაჯირითებას უზრუნველყოფდა.

როგორც ამბობენ, „გლავარ“ ნაციონალებში მიშას ავტორიტეტი ნულზე დაეცა. მას სერიოზულ საქმეებს აღარ ანდობენო და სააკაშვილის თხოვნის მიუხედავად, არც ვაშაძის საქმეზე შეუწუხებიათ თურმე დიდად თავი. ის კი არადა, სააკაშვილის უმდიდრეს ძმას, რომლის ქონება თურმე 50 მლნ. აჭარბებს, ვაშაძის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის 70 000 ლარი ძლივს გაუმეტებია. ეს იყო აბუჩად აგდებული ვა-ბანკი, თუ გაუმართლებდა ვაშაძეს, ხომ კარგი, თუ არადა, ისედაც ყველასთვის სულ ერთი იყო ვაშაძე და მისი პრეზიდენტობაო.

გვიან მიმხვდარა ამას ბატონი გრიგოლი, ფაქტობრივად, არჩევნების მერე „გამოფხიზლებულა“, ჯიბე რომ შექესატებია და ავტორიტეტიც რომ თანდათან გამქრალა საცერში მოგროვებულ ქვიშასავით, მაშინ წაუყენებია ულტიმატუმი პატარა ვაშაძისთვის და „დიდი“ ნიკანორისთვის: ამომაღებინეთ ის ფული, რაც დავხარჯე, თორემ ბევრ საიდუმლოს გავთქვამო.

დაფაცურებულან ბიჭები, რა ვქნათო და როგორც ყველა გზა მიდის რომში, ისე მიდის ნაცების გზა ბიძინა ივანიშვილთან — ხან ლანძღავენ, ხან ფულის სათხოვნელად მიდიან, როგორც პაატა ბურჭულაძე და როგორც ბევრი სხვა. აღარ ჩამოვთვლი ყველას. ხოდა, ივანიშვილთან შეხვედრა გადაუწყვეტიათ.

უძებნიათ გზები „ბიჭებს“. რა ხერხი, რა დესპანები არ გამოუყენებიათ, მაგრამ არავინ მიუკარებია ბიძინა ივანიშვილს. არადა, გრიგოლ ვაშაძე აბარებდა თურმე დესპანებს: მომცეს ფული და გავქრები ქვეყნიდანო. რომ ვერაფერს მიაღწიეს, ნაცები აგრესიაზე გადავიდნენ ინაუგურაციის დღეს და მიიღეს „დამსახურებისამებრ“, მაგრამ მაგათ გინდა ფეხი მოფხანე, გინდა თავი, სულ ერთია. აი, გრიგოლი კი სერიოზულ დეპრესიაში ჩავარდნილა და უკვე მეოთხე კვირაა, არსად არ ჩანს.

როგორც ამბობენ, „ნაციონალური მოძრაობის“ ბედ-იღბლის გამგებელი ახლა თემურ ალასანიაა. ის გეგმავს თურმე მომავალი მოქმედებების პერქსპექტივებს, რომლის შესახებაც „ნაცმოძრაობის“ მხოლოდ რჩეულმა, ერთიორმა ადამიანმა იცისო. რადიკალურ ზომებს აპირებენ პარტიის შიგნითო და არავინ უწყის, ვის რა ბედი ელოდება, ვინ აღზევდება და ვის დაატყდება „სიკვდილის ბუზიო“.

ჩვენც, შესაბამისად, ჯერჯერობით, არ ვიცით, რა მოიხარშა კგბ-ს გენერლის გონებაში, მაგრამ ერთი კი ცხადია, ამ არჩევნებში ნაცების წახდენით საბოლოოდ წახდა მათი ავტორიტეტი მომხრეების თვალშიც და მადლობა ღმერთს, ქართველ ხალხს და ერთ ჭკვიან კაცს, რომ „ნაცმოძრაობა“ თანდათან ისტორიის კუთვნილება ხდება.

**ᲘᲠᲐᲜᲓᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ**
594 56 11 18



# „ბნელი ენერგია“, რომელიც დედამიწას უახლოვდება

ევროპის ცენტრში აშენებულ კოლაიდერს (დაკი) მრავალი "თანამედროვეობის უდიადეს პროექტს" უწოდებს, თავისი დანიშნულებით ის წარღვნამდელი პირამიდების მსგავსია. შესაძლოა, დაკ-ი თავისი ოცდაშვიდ კილომეტრიანი მიწისქვეშა გვირაბების სისტემით, რომელიც წრეშია ჩაკეტილი, – არის კიდევაც პირამიდა, ოღონდ მიწისქვეშ დამალული. ეგვიპტურ პირამიდებსაც ხომ ასეთივე კონსტრუქცია გააჩნიათ, რომელიც აშენების დასრულების შემდეგ, მასში შიგნით შეღწევას გამორიცხავს. საეჭვოა, რომ მხოლოდ მეცნიერების გულისთვის და მხოლოდ "ნაწილაკების დაჩქარების" მიზნით დაიხარჯა ამდენი მილიარდი დოლარი, მიწისქვეშ გაიყვანეს ასეთი სირთულის გვირაბთა სისტემა და მასში ასობით ტონა ძვირადღირებული მოწყობილობები დააყენეს, რომელიც კოლოსალურ ელექტრო ენერგიას ხარჯავს. არადა, ამერიკული პროექტი „ჰარპი“-იც (სამოციან წლებში) საზოგადოებას წარუდგინეს არა როგორც გეოფიზიკური იარაღი, არამედ როგორც სამეცნიერო პროექტი...

მასობრივი საინფორმაციო საშუალებები "ელემენტარული ნაწილაკების გიგანტურ დამაჩქარებელთან" დაკავშირებით გვაუწყებენ, რომ ადრონული კოლაიდერის მეშვეობით შესაძლებელია მივიღოთ ახალი ცნობები მატერიის აგებულებასთან დაკავშირებით. შესაძლებელია აღმოაჩინონ ერთგვარი ეგზოტიკური მატერია. ასევე, მეცნერები აპირებენ შექმნან პირობები, რომლებიც არსებობდა 13 მილიარდი წლის წინათ "დიდი აფეთქების" დროს. სურთ მოიპოვონ ცნობები "შავი ხვრელის" შესახებ, რომელსაც შეუძლია ჩაყლაპოს მთელი სამყარო. ასევე იუწყებიან, რომ არავინ იცის როგორ მოიქცევა თვით კოლაიდერი, უნდათ მისი მეშვეობით შეისწავლონ "ბნელი ენერგია", რომელიც "დედამიწას უახლოვდება" და "ფლობს ანტიგრავიტაციას", ასევე განსაზღვრონ სივრცე-დროის ბუნება, აღმოაჩინონ დამატებითი განზომილება (ანუ, ზოგიერთი დაფარული და პარალელური სამყარო), ასევე გვირაბები, რომელთაც "თახვების ბუდეს" უწოდებენ (ასტროფიზიკოსებს აინტერესებთ, შეუძლიათ თუ არა "თახვების ბუდეებს" "შეერწყან" შავ ხვრელს). კოლაიდერის მეშვეობით აპირებენ ან დაადასტურონ ან კიდევ უარყონ "ღმრთის ნაწილაკების" არსებობა და ასე შემდეგ. ზოგიერთი მართლმადიდებელი ავტორის აზრით, "დაკ"-ი ჩაფიქრებულია ბოროტების მსახურთა მიერ, როგორც პორტალი ინფერნალურ (ჯოჯოხეთურ), ანუ დაცემულ სულთა სამყაროში, რომლებიც, როდესაც შემოაღწევენ ჩვენს სივრცეში, მასონურ ზემთავრობას დაეხმარებიან მსოფლიოში დაამყარონ ეშმაკის ძალაუფლება.

არადა, როგორც მრავალი მკვლევარი ამტკიცებს, პირამიდებიც ხომ "კოსმოსთან" კავშირისთვის, სინამდვილეში კი, – როგორც სრულიად საფუძვლიანად აღნიშნავენ ქრისტეანი მკვლევარები, – დემონურ, ინფერნალურ სამყაროსთან კონტაქტებისთვის იყო გამიზნული. ეგვიპტური სფინქსის თავზე მკვლევარებმა აღმოაჩინეს ეგრედწოდებული"მესამე თვალი", რომელიც მიმართულია "კოსმოსისკენ". ხეოფსის პირამიდაში აღმოაჩინეს ოთხი ვიწრო სენაკი (მაღარო), რომელთა მეშვეობითაც ფარაონთა სულები მიდიოდნენ "ვარსკვლავეთს". ეს დასკვნა, კერძოდ, ეფუძნება 1870 წელს აღმოჩენილ ძველ ტექსტებს, რომლებიც პირამიდების კედლებზე აღმოაჩინეს და რომელთაც დღეს "პირამიდების ტექსტებს" უწოდებენ. მათ შორის არის შემდეგი შინაარსის ტექსტიც (რ. ბიუველის და ე. ჯილბერტის წიგნის "პირამიდების საიდუმლოს" მიხედვით): "ო ფარაონო, ზეცა შეგიწყნარებს შენ, ვითარც ორიონს, ცისკრის ვარსკვლავის ნათება აღგიტაცებს მისკენ... შენ რეგულარულად აღემართები ორიონისკენ, რომელიც არის აღმოსავლეთის ცის კიდეზე, შენ რეგულარულად ეშვები ორიონიდან ზეცის დასავლეთ კიდეზე... და თანამეგზურობას სოტისი გიწევს..."როგორც ვიცით, "ცისკრის ვარსკვლავი" (მთიები) – დაცემული ქერუბიმის, ანუ ეშმაკის სახელია, რომელიც ოდესღაც (ღმრთისგან განდგომამდე) ერთ ერთი უმაღლესი დასის ანგელოზი იყო. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ, ზოგიერთის აზრით, მონადირე-გიგანტი ორიონი ბერძნულ მითოლოგიაში (ერთ ერთი ყველაზე ცნობილი მითის მიხედვით, ორიონი ზევსმა თანავარსკვლავედად გარდააქცია) – ეს არის ნებროთი, პირამიდების (ბაბილონის გოდოლის) მშენებლობის წარღვნის შემდგომი ორგანიზატორი. იმ არხების მიხედვით, რასაც ქმნიდნენ პირამიდები, სულები ვარსკვლავეთს მიდიოდნენ, იბადება კითხვა: ასტრალური ხომ არ იყო ეს არხები ("ასტრალში" გასასვლელად)? რადგან სიტყვა "ასტრალური" ბერძნულიდან თუ ვთარგმნით – ვარსკვლავურს ნიშნავს. კავშირი, რომელსაც უზრუნველჰყოფდა პირამიდული სისტემა, უნდა ვივარაუდოთ, რომ იყო ის "კოსმოსი", რომელთანაც არის დაკავშირებული წმიდა წერილის შემდეგი ადგილი: "რადგანაც სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ კი არ ვიბრძვით, არამედ მთავრობათა და ხელმწიფებათა, ამ ბნელი საწუთროს მპყრობელთა და ცისქვეშეთის უკეთურ სულთა წინააღმდეგ. ამიტომ ხელთ იპყარით ღვთის საჭურველი, რათა უკეთურ დღეს შეგეძლოთ წინააღმდეგობა და, ყოვლის მძლეველნი, კვლავ მტკიცედ იდგეთ" (ეფეს. 6: 12–13). სხვაგვარად რომ ვთქვათ, კავშირი მყარდებოდა ბოროტ სულთა სამყაროსთან, რომელიც საჰაერო სივრცეში ბუდობს. მოციქულ პავლეს იმავე ეპისტოლეში ლაპარაკია "ჰაერის ძალთა მთავარზე", ანუ ეშმაკზე, რომელიც არის "ამა სოფლის თავადი". საჰაერო სივრცეს იუდეველები უწოდებდნენ სფეროს, რომელშიც დაცემულ სულებს ნებადართული ჰქონდათ მოქმედება (სიტყვა "ჰაერი" მათ უხილავობაზე უთითებდა). მოციქული ისე გამოხატავს თავის სათქმელს, როგორც ეს იუდეველთათვის იყო დამახასიათებელი: მესამე ცის ქვეშ ის გულისხმობდა ზეცას, სადაც თვით უფალი და წმიდა ანგელოზები იმყოფებიან, ხოლო პირველ ცაში – სივრცეს, რომელსაც ჩვენს ჰაერს ვუწოდებთ. ძველთა წარმოდგენით, ჰაერის ძალნი მართავდნენ მნათობებს და მათი მეშვეობით მთელს სამყაროს. როგორც ზოგიერთი კომენტატორი უთითებს, გამოთქმა "ამა სოფლის მთავარნი", რომელსაც მოციქული იყენებს ბოროტ სულთა სულიერი არსის საჩვენებლად, ძველ ასტროლოგიაში განეკუთვნებოდა პლანეტებს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენდნენ ადამიანის ბედზე. ერთ ერთ ინგლისურ თარგმანში, დამოწმებული ადგილი იკითხება ასე: " აი, ის კოსმოსი", რომელთანაც აკავშირებდნენ ადამიანს პირამიდები. ხოლო "შავ (ან ბოროტ) დღედ", სავარაუდოდ, უნდა გავიგოთ ისტორიის უკანასკნელი პერიოდი, ჩვენი უფლის, იესუ ქრისტეს მოსვლის წინა ჟამი, როდესაც ბოროტების ძალნი ძალზედ გააქტიურდებიან – ანუ, როდესაც ისინი სრული სიძლიერით აამოქმედებენ მათ მიერ მომზადებულ მექანიზმს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდესაც ძალზედ მიუახლოვდებიან (ყოველ შემთხვევაში, ასე იქნება მათი შეხედულებით) თავიანთი ღმრთისსაწინააღმდეგო ჩანაფიქრის (პროექტის) განხორციელებას. და ხომ არ უთითებს აქ გამოთქმა "შავი დღე" "ბნელ ენერგიაზე" ან "შავ ხვრელებზე", რომლის შესახებაც ლაპარაკია "დიდ ადრონულ კოლაიდერთან არსებობს მოსაზრება, რომ კოლაიდერი სხვა არაფერია თუ არა აპოკალიფსისის 9-ე თავში ნახსენები "უფსკრულის ჭისა". "ჭა" აქ არხს, გვირაბს, პორტალს ხომ არ გულისხმობს?... ხომ არ გველაპარაკება აპოკალიფსისი დემონთა ("კალიების") გასასვლელზე პორტალ-კოლაიდერის მეშვეობით. აი, რას ამბობს აპოკალიფსისი: "მეხუთე ანგელოზმა ჩაჰბერა და ვიხილე ვარსკვლავი, რომელიც ზეცითვარდებოდა ქვეყნად, და მიეცა მას გასაღები უფსკრულის ჭისა (ხომ არ არის ეს ქვესკნელის ძალთა დედამიწის ზედაპირზე ამოსასვლელი არხის გასაღები?). გააღო უფსკრულის ჭა და ამოვარდა კვამლი ("შავი ენერგია"?) ჭიდან, როგორც ვეება ღუმელის კვამლი, და დაბნელდა მზე და ჰაერი ჭის კვამლისაგან. გამოვიდა კვამლიდან კალიის გუნდი ქვეყნად, და მიეცა მას ხელმწიფება, მსგავსი იმისა, როგორიცა აქვთ მიწის მორიელთ. და ითქვა მათ მიმართ, რომ არა ავნონ რა არც ბალახს მიწისას, არც მწვანილს რასმე და არც ხეს რასმე, არამედ მხოლოდ იმ ხალხს, რომელსაც არა აქვს ღვთის ბეჭედი შუბლზე. და მიეცა მათ ნება, კი არ მოეკლათ, არამედ ხუთი თვე ეწამებინათ ისინი. ხოლო წამება მათგან, როგორც წამება მორიელისგან, როდესაც



მოწყლავს კაცს. იმ დღეებში სიკვდილს დაუწყებენ ძებნას კაცნი, და ვერ ჰპოვებენ; ინატრებენ, ნეტა მოვკვდეთო, მაგრამ სიკვდილი დაუსხლტება მათ. ხოლო კალიები გარეგნობით ცხენებსა ჰგვანდნენ, საომრად გამზადებულთ... ბოლო ჟამს დემონები თავიანთი შეგნებული მსახურებისა და მოტყუებული "კონტაქტიორების" მეშვეობით აქტიურად ნერგავენ აზრს კაცობრიობაში რაღაც "პარალელური სამყაროების" არსებობის თაობაზე, საიდანაც, ჩვენთან, ჩვენს მიწიერ სამყაროში, თითქოსდა მალე უნდა მოვიდნენ უცხოპლანეტელები, უმაღლესი რასისა და ცივილიზაციის წარმომადგენლები, რომელიც ჩვენი სამყაროს პარალელურად არსებობს, მაგრამ ბევრად უფრო ძველია ჩვენსაზე. ეს იდეა პირდაპირ არის ფორმულირებული მაგალითად, დემონებისა და ადამიანების კონტაქტებში, რომლებიც ნდობით ეკიდებიან ეშმაკთ და ისინი "უმაღლესი გონის" წარმომადგენლები ჰქონიათ.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# გამოქანება მთაწმინდიდან

მთაწმინდა ხომ იცით? ფუნიკულიორი ხომ იცით? ჰოდა, იმ ფუნიკულიორზე ვქეიფობთ... ახალგაზრდები ვართ, თანაც პოეტები — სისხლი გვიდუღს, ტვინი გვიდუღს და სულ ლექსად და სიყვარულად ვიღვრებით.

ქვემოთ თბილისი კაშკაშებს, ჩვენ კი ზემოდან, სადღაც ღრუბ-



ლებიდან ლექსებს ვუკითხავთ და, დარწმუნებული ვართ, ისიც გულისყურით გვისმენს.

ამასობაში საბაგირო დაიკეტა. სხვა გზა არ არის — ფეხით უნდა ჩავიდეთ.





ჩვენც მოვდივართ ბორძიკ-ბორძიკით.

ერთ ფლატესთან შევისვენეთ.

— ხომ ვარ მე დიდი პოეტი? — თქვა ერთმა.

— კი, ნამდვილად! — დავეთანხმეთ ჩვენ.

— ხოდა, დიდ პოეტებს ფრენა რომ შეუძლიათ, ეს ამბავი იცით თქვენ? აი, მე, მაგალითად, ფრენა შემიძლია.

— ფრთები რომ არ გაქვს? — შევეჭვდით ჩვენ.

— ფრთები როგორ არა მაქვს. უბრალოდ, არ ჩანს, თორემ ფრთები როგორ არ მაქვს? აი, ახლა აქედან გამოვქანდები, ავფრინდები და ქაშუეთის წინ დავფრინდები.

— მიდი, აბა! — წააქეზა რომელიღაცამ.

ამის თქმა იყო და ეს ჩვენი ცოდვით სავსე მართლა არ გამოქანდა და არ გადახტა?

ძლივს ამოვიყვანეთ დაბეჟილ-დაბეგვილი „მფრინავი“ პოეტი ხევიდან.



იოლად გადარჩა — ეკალ-ბარდებისგან იყო დაკაწრული და მხარს იტკიებდა იქ, სადაც ფრთები უნდა ჰქონოდა, — სულ ეს იყო.

●

— მთაწმინდა ხომ იცით? ფუნიკულიორიც ხომ იცით? ჩვენ ახლა იქ გამოსაქანებელ ადგილს ვაფართოებთ. ჰოდა, გამოქანდნენ იქიდან ხაბეიშვილი, მიშა, შასლიკო. მიშა ჰოლანდიიდან გამოქანდეს. — თქვა თბილისის მერმა კახი კალაძემ მისი ოპონენტების ბრალდებების საპასუხოდ.

თქვა და ოპოზიციამ ერთი ამბავი ატეხა — კალაძემ შეურაცხყოფა მოგვაყენაო... ესაო, ისაო...

რა შეურაცხყოფა მოგაყენათ, კაცო, თქვენ შარზე რომ არ ხართ? გამოქანდითო, გითხრათ, მაგრამ ის ხომ არ დაუყოლებია — გამოქანდით და აგერ დამახტით, ან აგერ დამაფრინდითო — გამოქანდითო, გითხრათ მხოლოდ, ეს ერთი სიტყვა გითხრათ.

ჰოდა, გამოქანდით თქვენც, რისი გეშინიათ — თქვენ ხომ, როგორც თავად ირწმუნებით, ფრთიანი ანგელოზები ხართ. ჰოდა, გამოქანდით, იფრინეთ და ილივლივეთ.

თუ ფრთებმა გიმტყუნათ, მართალია, ცუდ რამეზე კი მოგიწევთ დახტომა თუ დაფრენა, მაგრამ, არა უშავს, მაინც გამოქანდით.

ადრე თუ გვიან მაინც მოგიწევთ გამოქანება და ნუ გადადებთ ამ საქმეს — გამოსაქანებელი ადგილი გაფართოებულია და ბარემ გამოქანდით და დაამთავრეთ.

**ვახტანგ ხარჩილავა**



# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**
2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



* * *

**— პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩემს სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც მოწინააღმდეგე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. მივმართე სააღსრულებო სამსახურს, რომელმაც არ აღასრულა გადაწყვეტილება. რამდენად სამართლიანია ეს?**

— ეს სამართლიანია, რადგან გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო წესით. ანუ, მას არ აქვს დასრულებული სახე, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება არ არის შესული კანონიერ ძალაში. დაელოდეთ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და ასევე, შემდეგ, თუ რომელიმე მხარემ გაასაჩივრეთ საკასაციო ინსტანციაში — საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას...

ასევე, დამატებით გეტყვით შემდეგს: არსებობს მოთხოვნები, რომელთა დაუყოვნებლივი აღსრულება ხდება 1- ლი ინსტანციის სასამართლოში. თქვენ არ აღგინიშნავთ თქვენს შეკითხვაში, ექვემდებარებოდა თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსრულებას. თუ ექვემდებარებოდა, მაშინ სააღსრულებო სამსახური არ უნდა დაელოდოს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის გადაწყვეტილებებს.

წარმოგიდგენთ შესაბამის კანონის ნორმას დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე და დასკვნები თავად გამოიტანეთ:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 268-ე მუხლი: დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები

1. სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები:

ა) ალიმენტის მიკუთვნების შესახებ;

ბ) დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ;

გ) მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ;

დ) უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ;

ე) (ამოღებულია);

ე 1) უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ;

ვ) თამასუქისა და ჩეკის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებები;

ზ) ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდება. (ძალადაკარგულია «ზ» ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სადავო ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას, როდესაც მის შედეგად დაცული სიკეთე არ აღემატება აღსრულების დაყოვნების შედეგად მიყენებულ ზიანს) — საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება N1/5/675,681 — ვებგვერდი, 11.10.2016წ.

11. ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. აღსრულება არ შეჩერდება ამავე დავის საგანზე მესამე პირის სარჩელის საფუძველზედაც.

2. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დაშვებისას სასამართლოს შეუძლია მოსთხოვოს მოსარჩელეს გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფა სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში.

3. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება არ დაიშვება, თუ შეუძლებელია იმ ზარალის ზუსტად გამოთვლა, რომელიც შეიძლება მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს, რის გამოც მეორე მხარე ვერ შეძლებს მის უზრუნველყოფას.

* * *

**— განქორწინებას ვაპირებ მეუღლესთან. შესაძლებელია თუ არა, ეს მოხდეს სასამართლოს გარეშე?**

— დიახ, ეს შესაძლებელია, თუ არსებობს ორი პირობა: 1/ ორივენი თანახმა უნდა იყოთ განქორწინებაზე და 2./ არ უნდა გქონდეთ ქონებრივი დავა, ყოველ შემთხვევაში, განქორწინების ეტაპზე.

თუ არსებობს ეს ორი აუცილებელი პირობა, შეგიძლიათ მიმართოთ სამოქალაქო რეესტრის ორგანოს თქვენი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გადაიხდით სახელმწიფო ბაჟს 45 ლარის ოდენობით და სააგენტო კანონით დადგენილი წესით მოახდენს თქვენს განქორწინებას.

# ჯორჯ კობი (კობახიძე) – ამერიკის პირველი ქართველი მილიონერი



## ღარიბი გლეხის ოჯახში დაბადებული ბიჭუნა გრიგოლ კობახიძე ამერიკელი გამომგონებელი, მეცენატი და შუშის იმპერია „THE COBY GLASS PRODUCTS COMPANY“-ის მფლობელი ჯორჯ კობი გახდა

გრიგოლი 1883 წელს რაჭის სოფელ თხმორში დაიბადა. წერა-კითხვა სოფლის მღვდელმა შეასწავლა. როდესაც 10 წლის გახდა, იგი ბორჯომში წავიდა, სადაც მისი უფროსი ძმა შუშის ქარხანაში მუშაობდა.

ასე დაიწყო გრიგოლის სამუშაო გზა – ოთხი წლის განმავლობაში იგი ძმასთან ერთად მუშაობდა შუშის საწარმოში. ბიჭუნა განსაკუთრებული შრომისმოყვარეობითა და შუშის წარმოების მიმართ დიდი ინტერესით გამოირჩეოდა. იგი სწავლობდა შუშასთან მუშაობის მეთოდებსა და ნიუანსებს. მისი იდეის დანერგვამ წარმოების მოცულობის გაზრდას შეუწყო ხელი.



გრიგოლის ცინცხალი გონება და სიბეჯითე შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ქარხნის ერთ-ერთმა მფლობელმა, გერმანელმა შულცმა ახალგაზრდა საწარმოს მეორე მფლობელს, მიხეილ მუხრანბატონს წარუდგინა. რამდენიმე ჯილდოსა და სტიპენდიის მიღების შემდეგ ახალგაზრდა გრიგოლი კრასნოდარის მხარეში გაგზავნეს კონსტანტინოვკის შუშის ქარხანაში სამუშაოდ, სადაც თავისი მომავალი მეუღლე დაშა ნოდვიკოვა გაიცნო.

1907 წელს გრიგოლ კობახიძე ჯერ გერმანიაში, შემდეგ დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა, 1909 წლიდან კი ამერიკაში დასახლდა.

თანამემამულეთა ასოციაციის დახმარებით 26 წლის ახალგაზრდამ სამუშაო იშოვა. მან 9 წელი იმუშავა კომპანია „**General Electric**“-ში, თან კაპიტალს აგროვებდა. ამერიკაში ჯორჯ კობის, როგორც მაც ამერიკელი მეგობრები ეძახდნენ, თავისი გატაცებისთვის არ უღალატია – მან დააპატენტა ახალი გამოგონება – ავტომატური საწერკალამი. ამგვარად მან დაიწყო საკუთარი ბიზნესი – საკანცელარიო ნივთებით ვაჭრობა.

1919 წელს ჯორჯი მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ატელბოროს დიდი ფაბრიკის მფლობელი გახდა. 1922 წლისთვის მისმა საწარმომ „**Coby Glass Products Company**“-მ აშშ-ის აღმოსავლეთ ნაწილში დიდი გაქანების სამრეწველო მოთამაშეებს შორის დაიმკვიდრა ადგილი.

1929 წელს კომპანიის ყოველწლიურმა ბრუნვამ 15 მლნ აშშ-ის დოლარი შეადგინა (დღეის ეკვივალენტი 204 მლნ), ხოლო წლიურმა შემოსავალმა 4 მლნ დოლარი (54 მლნ).

ქარხანა აწარმოებდა ფანჯრის მინებს, სამშენებლო ტიხრებს, სამედიცინო, ქიმიურ, ლაბორატორიისთვის საჭირო და სხვა მრავალი სახეობის პროდუქციას. ჯორჯ კობის კომპანიის პროდუქცია საუკეთესოთ ითვლებოდა, რადგან ბიზნესმენი თავად იყო ჩართული პროდუქციის შექმნაში და საწარმოში მუდმივად იხვეწებოდა ტექნოლოგიები.



ჯორჯ კობი სამშენებლო ტექნიკის მეფე გახდა. მან გამოიგონა ზემყარი შუშის ბლოკები და წყალმედეგი ბეტონი, რომლებიც ცათამბჯენების მშენებლობისას გამოიყენებოდა.

მიუხედავად მილიონერის სტატუსისა, ჯორჯ კობი აგრძელებდა ახალი მეთოდებისა და საშუალებების გამოგონებას. დააპატენტა 60-ზე მეტი გამოგონება, რომლებმაც კომპანიას უფრო მეტი პოპულარობა და პრესტიჟი შესძინა.

ცნობილია ისტორია, როგორ მიიღო კობიმ სპეციალური შეკვეთა პარფიუმერული კომპანია „**Prince Matchabelli Perfume Company**“-ს დამფუძნებლის, გიორგი მაჩაბლისგან.

კობის ამოცანა იყო, შეექმნა მაჩაბლების საგვარეულო გერბის ფორმის სუნამოს ფლაკონი. სურნელს თავად მაჩაბელმა მიაგნო, ფლაკონის ფორმა კი მისმა მეუღლემ ნორინა ჯილიმ მოიფიქრა. რამდენიმე ხნის შემდეგ დახვეწილი სუნამო მდიდრულ ფლაკონებში მთელ ამერიკაში იყიდებოდა. დღეისათვის ამ ფლაკონების ნახვა მხოლოდ ვინტაჟური პარფიუმერიის მოყვარულთა კოლექციებში თუ შეიძლება.

### დაბრუნება

კომერციული წარმატების მიუხედავად, ჯორჯ კობის არასოდეს დავიწყებია სამშობლო. 1925 წელს, ნეპის პერიოდში, იგი საქართველოში დაბრუნდა. მან სახლი აუშენა იმ ოჯახს, რომელმაც პატარაობისას გზად ფეხით მიმავალი შეიფარა. გრიგოლმა მშობლიურ სოფელში ააშენა სკოლა, აფთიაქი, ორი ხიდი, ეკლესია და სახლი მღვდლისთვის, გახსნა სავაჭრო ობიექტები. დედას კი ის საჩუქრები ჩაუტანა, რასაც ბავშვობაში დაჰპირდა.

მეორედ გრიგოლი 1928 წელს დაბრუნდასაქართველოში, როცა ნეპი დასრულდა. მას დაპატიმრების საფრთხე ემუქრებოდა, იგი ქვეყნიდან წავიდა და ამის შემდეგ აღარ დაბრუნებულა.

### ახალი აღზევება

ჯორჯ კობიმ გმირულად გადაიტანა „დიდი დეპრესია“ – 1929–39 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. იმ წლებში იგი საკანცელარიო ნივთებით ვაჭრობდა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ჯორჯ კობიმ აშშ-ის მთავრობისგან ფინანსური დახმარება 2 მლნ დოლარი მიიღო, რათა სამხედრო საჭიროებისთვის შუშა ეწარმოებინა. ქალაქ პატაკეტში მან ააშენა ახალი ქარხანა, დაიქირავა 300 მუშა და მისი საწარმო კვლავ მოწინავე გახდა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ახალგამოგონილი ამპულები ინექციებისთვის.

თანამემამულე ალექსანდრე ქართველიშვილის თხოვნით ჯორჯ კობი თვითმფრინავის პილოტების კაბინებისთვის ზემდგრადი შუშის წარმოებაში ჩაერთო.

ომის დამთავრების შემდეგ კობიმ დაიწყო ნაძვისხის სათამაშოების წარმოება. მან შექმნა ელექტროსანთლები, რომლებიც ქიმიური ნივთიერებით იყო სავსე და ელექტრო ქსელში ჩართვის შემდეგ ფერადი ბუშტუკები მოძრაობას იწყებდნენ. მოგვიანებით სანთლების დამზადება ფერადი შუშისგან დაიწყეს და ქიმიური ნივთიერების გამოყენება საჭირო აღარ იყო.

„შობა – ეს კობია!“ – ეწერა ულამაზეს ყუთებზე ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, რადგან სათამაშოების ნაწილი კანადაშიც იგზავნებოდა.




ჯორჯ კობი იყო უანგარო მეცენატი, რომელიც ყველას ეხმარებოდა ამერიკაში, გერმანიასა და საფრანგეთში. მანვე გააცნო ალექსანდრე ქართველიშვილს ის მილიონერი, რომელიც ავიაციით იყო დაინტერესებული.

სამწუხაროდ, მას საკუთარი შვილები არ ჰყავდა, ხოლო საბჭოთა კავშირიდან ამერიკაში ნათესავების წაყვანა ვერ შეძლო რეპრესიების გამო.

ჯორჯ კობიმ ვერ შეძლო ქართველების დაინტერესება თავისი საქმით და ბიზნესკომპანიონებად აიყვანა იტალიელი ძმები, რომლების გვარიც იყო პაგლია. ამ ბიზნესმენებმა გააგრძელეს ჯორჯ კობის საქმე და უკვდავყვეს მისი სახელი.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001